პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 მარტი, პარასკევი, 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 69 (15586)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედი — ვადამდე!

განვამტკიცოთ წარმოებრივი შრომის დისციპლინა!

21 აპრილი კომუნისტური შაბათობის დღეა

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ხუთწლედის მესამე წელს მთელი რიგი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელა № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა. მეფეხსაცმელეებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, კარგად შეუხამეს ერთმანეთს მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმები. ყოველივე ამის შედეგად დაძლიეს ჩამორჩენა და გადაჭარბებით გაანაღდეს მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 125 ათასი მანეთით გადააჭარბეს, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისას — 220 ათასი მანეთით. სავაჭრო ორგანიზაციებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმა 104 პროცენტით არის შესრულებული.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით აქ ორ თვეში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით ამაღლეს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

საწარმოს კოლექტივი ახლა ფართოდ ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის. მეფეხსაცმელეებმა გადახედეს თავიანთ რეზერვებს, გადაწყვიტეს შაბათობის დღეს — 21 აპრილს მთლიანად იმუშაონ დაზოგილი მასალით და გამოუშვან 22 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, გამომუშავებული ხელფასი შეიტანონ ხუთწლედის ფონდში. 400 კაცი იმუშავებს საწარმოო ტერიტორიისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაზე, დარგავენ 1.000-ძირ ხესა და ბუჩქს.

დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით

თბილისი. კომუნისტური შრომის საწარმომ — კერამიკული კომბინატის კოლექტივმა წელს განვლილ ორ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 112,2 პროცენტით შეასრულა, რეალიზაციისა — 102,8 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით არის განაღდებული სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

შრომის ზუსტი ორგანიზაციით, სოციალისტური შეჯიბრების კონკრეტულად მოწყობით, მოწყობილობის მოცდენების შემცირებით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 20,3 პროცენტით გაზარდეს, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა — 5,2 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 21,6 პროცენტით.

კომბინატის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს პროდუქციის მთელი მატება მიიღოს არსებულ საწარმოო ფართობზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განხორციელებით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით. აქ გათვალისწინებული აქვთ მარტო რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის გზით წლის ბოლოსათვის მიიღონ 50 ათასი მანეთი ეკონომია.

კერამიკოსები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას, რომ ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად მოაწყონ კომუნისტური შაბათობა და თავისი ღირსეული წვლილი შეიტანონ ხუთწლედის ფონდის გამდიდრების საქმეში. აქ ერთსულოვნად გადაწყვიტეს აპრილი გამოაცხადონ დამკვრელურ თვედ და თვიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 3 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 1.000 ცალი სამშენებლო ნახევრადფაიფურის ნაწარმი, 5 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკული ჭურჭელი.

☐ მივცეთ სამშობლოს მეტი, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

☐ თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ კოლექტივმა იკისრა შაბათობის დღეს — 21 აპრილს დაზოგილი ნედლეულით გამოუშვას 22 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

☐ ვთესოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად!

☐ მტკიცედ დავიცვათ აგროვადები.

☐ დათესილია 33.398 ჰექტარი.

სურათზე: თბილისის სსრკ 50 წლისთავის სახელობის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის № 22 კომუნისტური შრომის საამქროს მოწინავე მუშები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში. მარცხნიდან ო. რეშკოვიჩი, ნ. მდივანოვა, მ. მღებრიშვილი, ნ. მამულაშვილი, მ. ქუმსიაშვილი, ლ. ობანაშვილი და ნ. ქუმსიშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, მაგრამ...

საერთოდ სოციალისტური შეჯიბრების შეჯამების დროს მხედველობაში იღებენ კოლექტივის არა მარტო საწარმოო მაჩვენებლებს, არამედ კოლექტივის თვითეული წევრის შრომით დისციპლინას, აქტიურობას, ქცევას. ასეა ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაშიც.

სამუშაო დღე რომ დამთავრდა, ელექტრომექანიკოსები კლუბში შეიკრიბნენ. ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ამიერიდან ყოველი თვის მეორე სამშაბათს შეჯამდება წინა თვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა, კრებას წარუდგინა იანვრის მუშაობის შედეგები და აღნიშნა ის ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლიდა სოციალისტური შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზებას. მიუხედავად ამ ხელისშემშლელი მიზეზებისა, საწარმომ იანვრის გეგმა ორი დღით ადრე შეასრულა და მაღალი ხარისხის მანქანები ვადამდე გაუგზავნა დამკვეთ ორგანიზაციებს.

როცა აჯამებენ მუშაობის შედეგებს

☐

როცა კომისიამ შეაჯამა ბრიგადებს შორის გაჩაღებული შეჯიბრების შედეგები, აღმოჩნდა, რომ იანვარში ყველაზე კარგ შედეგს ნ. პაჭიკოვის ბრიგადამ მიაღწია, რომელმაც გეგმა 173 პროცენტით შეასრულა. მაგრამ ბრიგადა არ მიიჩნიეს... გამარჯვებულად, რადგან კოლექტივის ერთ-ერთმა წევრმა ქალაქში დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. ბრიგადამ დაკარგა პირველი ადგილი და ფულადი პრემია.

ვალდებულებები წარმატებით გაანაღდა მ. ტრიგუბოვის ბრიგადამ, მაგრამ პირველ ადგილზე ვერც ის გამოვიდა, რადგან ზოგიერთ წევრს იანვარში უმიზეზოდ ჰქონდა გაცდენილი სამუშაო დღე.

პირველი ადგილი ნ. ხოსელიას ბრიგადას დარჩა. ეს ბრიგადა მაღალი მაჩვენებლებით, ერთსულოვნებითა და სანიმუშო წესრიგით გამოირჩეოდა.

ზ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვალელთა მინდვრებში

ახალციხის რაიონის ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო კულტურებისათვის შემოდგომითვე მზრალად მოვხანით 360 ჰექტარზე მეტი ფართობი. საკმარისი რაოდენობით მოვიმარაგეთ და სათეს კონდიციამდე აღვიყვანეთ ქერის, ერთწლიანი ბალახების, სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის თესლი. დროულად შევაკეთეთ ტექნიკა.

ტექნიკის მომზადებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მექანიზატორებმა პ. კაკაჩიშვილმა, ა. თედიაშვილმა, გ. გიორგაძემ. საკარტოფილე ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე შევიტანეთ 350 კილოგრამი ფოსფოროვანი და 900 კილოგრამი კალიუმის სასუქი, ამასთან ბაღებში, საკარტოფილე და საბოსტნე ნაკვეთებში სულ გავიტანეთ 1.500 ტონა ორგანული სასუქი.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის კოლმეურნეობის მემინდვრეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის, მექანიზატორთა ბრიგადებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ი. გოზალიშვილი,
სოფელ ვალეს კოლმეურნეობის აგრონომი.

თესვის ტემპი ძლიერდება

მარტის ხელსაყრელ დღეებს მაქსიმალურად იყენებენ მხვნელ-მთესველები. მიმდინარეობს საგაზაფხულო კულტურების თესვა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით, რესპუბლიკაში დათესილია 33.398 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. შარშან კი ამავე პერიოდისათვის დათესილი იყო 6.449 ჰექტარი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ითესება ხორბალი, ქერი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული, მრავალწლიანი, ერთწლიანი ბალახები, საკვები ძირხვენები და სხვ. გარდაბნის რაიონში დათესილია 7.024 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, წითელწყაროს რაიონში — 4.237 ჰექტარი, სიღნაღის, — 3.698 ჰექტარი, საგარეჯოს — 3.698 ჰექტარი, მარნეულის — 2.271 ჰექტარი.

საგაზაფხულო კულტურების თესვა გაჩაღდა კასპის, გურჯაანის, ახმეტის, ქარელის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, სამტრედიის რაიონებში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დათესილია 566 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

ქარელის რაიონში შეუდგნენ შაქრის ჭარხლის თესვას. უკვე დათესილია 75 ჰექტარზე მეტი. გორის რაიონში დაითესა 25 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. რესპუბლიკაში კარტოფილი დათესილია 787 ჰექტარზე, ბოსტნეული კულტურები — 5.789 ჰექტარზე, მრავალწლიანი ბალახები — 3.262 ჰექტარზე, ერთწლიანი ბალახები კი 9.922 ჰექტარზე.

დღითიდღე ძლიერდება თესვის ტემპი. მხვნელ-მთესველები მტკიცე საფუძველს უყრიან მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის უხვ მოსავალს.

საბჭოთა ხელმძღვანელების დეპეშა ლ. სვობოდას

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ლუდვიკ სვობოდას გაუგზავნეს დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით და პირადად ჩვენგან მეგობრულად და გულითადად გილოცავთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მაღალ პოსტზე თქვენს ხელახალ არჩევას.

საბჭოთა ადამიანებს თქვენ მიაჩნიხართ გამოჩენილ სახელმწიფო და პარტიულ ხელმძღვანელად, მტკიცე პატრიოტად და ინტერნაციონალისტად და დიდად აფასებენ თქვენს კეთილშობილურ მოღვაწეობას ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების ურღვევი კავშირის განსამტკიცებლად, თქვენს ამაგს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მოძმე სახელმწიფოთა ერთობლივ ბრძოლაში.

თქვენმა დიდმა დამსახურებამ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშენებლობაში, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის განმტკიცებაში დამსახურებული ავტორიტეტი მოგიხვეჭათ ჩვენს ქვეყანაში.

ნება გვიბოძეთ სულით და გულით გისურვოთ, ამხანაგო პრეზიდენტო, ახალი წარმატებანი თქვენს პასუხსაგებ მუშაობაში სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის შემდგომი განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით გაღრმავებისათვის, რაც შეესაბამება როგორც საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ინტერესებს, ისე მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს“.

(საკდესი).

მეგობრული ვიზიტით

21 მარტს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი.

ერაყის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე სადამ ჰუსეინს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ერაყის მოლაპარაკება

22 მარტს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სადამ ჰუსეინი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირები.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ერაყის ურთიერთობის საკითხები. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. (საკდესი).

დარბაზობა კრემლში

სსრ კავშირის მთავრობის სახელით 22 მარტს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გაუმართეს ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილეს, რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს სადამ ჰუსეინს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, პ. ე. შელესტი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ერაყის მხრივ საუზმეზე იყვნენ სადამ ჰუსეინის თანმხლები ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს ა. ნ. კოსიგინმა და სადამ ჰუსეინმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებსაც ყურადღებით მოუსმინეს და ტაშით შეხვდნენ.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ქალაქებს — ტყეების მწვანე რკალი

თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების ღონისძიებათა საკოორდინაციო მუდმივი კომისიის სხდომა

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ. დადგენილების შესრულების უზრუნველყოფისა და სამინისტროთა, უწყებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ამ მიმართულებით მუშაობის კოორდინაციისათვის შეიქმნა მუდმივი კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით.

გაიმართა კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრნენ კომისიის წევრები — ფინანსთა მინისტრი ფ. ანანიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. კუჭავა, ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი გ. ნატროშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საავტომობილო გზების მინისტრი გ. რობიტაშვილი, რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარე ი. ციციშვილი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ჯაფარიძე, აგრეთვე სხდომაზე მოწვეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ლობჟანიძე, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სხდომა გახსნა ამხ. ჯავახიშვილმა, რომელმაც კომისიის წევრთა ყურადღება მიაპყრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის განსახორციელებელ სამუშაოთა რთულ კომპლექსსა და დიდ მოცულობას. საჭირო იქნება, თქვა მან, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა ფართო მასების ერთობლივი მიზანმიმართული და შეთანხმებული მუშაობა. ეს ხომ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეა — გავამრავლოთ ბუნებრივი სიმდიდრენი, ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ სატყეო მეურნეობის წარმოება, შევქმნათ მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის ხელშემწყობი პირობები.

დადგენილების მიღების შემდეგ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ საკითხის აქტუალობა, — ხაზი გაუსვა ამხ. ჯავახიშვილმა, — მოითხოვს, რომ კომისიამ ახლავე ფართოდ გაშალოს საქმიანობა, დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა შესრულდეს.

კომისიამ მოისმინა მ. კუჭავას ინფორმაცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობა, — თქვა მან, — გავუნაწილეთ სატყეოებს და გავაცანით თვითეულ მათგანს. მიმდინარე წლის ნოემბრის დამლევისათვის დამთავრდება ტყეების განაწილება საპარკო და სამეურნეო ზონებად. მთელი ტყის აღსადგენი სამუშაოები დაგეგმილია პერიოდების მიხედვით. დაზუსტებულია, თუ რომელ სატყეოში და რა ვადებში უნდა გაშენდეს ამა თუ იმ ჯიშის ნარგავები. განსაზღვრულია აგრეთვე სატყეოებში სანერგე მეურნეობათა შექმნის დავალებანი. 1973-1974 წლებში შემუშავებული იქნება ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის სრული პროექტი.

1973-1976 წლებში თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში გაყვანილი იქნება 200 კილომეტრი საავტომობილო გზა. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა უკვე შეადგინა და რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს გადასცა პირველი 10 კილომეტრი გზის სქემა, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია მიმდინარე წელს.

თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში შექმნილია 97 უბანი, განსაზღვრულია მათი ადგილსამყოფელი, ფართობები, აგრეთვე თვითეულ მათგანში ერთდროულად დამსვენებელთა სავარაუდო რიცხვი. უბნების საზღვრები იმ ვარაუდით არის დადგენილი, რომ ყოველ მათგანში იყოს ტყე, მინდორი, სასმელი წყალი. პარტიის თბილისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტებთან, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომებთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად უახლოეს დღეებში განისაზღვრება ამ უბნების მუდმივი „პატრონები“, ესე იგი ობიექტები, რომლებსაც მიამაგრებენ მათ, შემუშავებული იქნება სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებანი და უბნების გამოყენების პირობები.

სატყეო მეურნეობის კომიტეტში შექმნილია მწვანე ზონის სამმართველო, რომელმაც უშუალოდ უნდა უხელმძღვანელოს სამუშაოებს.

სატყეო მეურნეობის კომიტეტმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და განათლების სამინისტრომ შეიმუშავეს და დაამტკიცეს „სასკოლო სატყეოს დებულება“, რომელიც განსაზღვრავს ტყეების გაშენებისა და დაცვის პატრიოტულ საქმეში მოსწავლეთა მონაწილეობის პირობებსა და წესებს.

აზრთა გაზიარების დროს კომისიის წევრებმა მოიწონეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულება. კომისიის წევრებმა ჯ. პატიაშვილმა, პ. გილაშვილმა, ი. ციციშვილმა, გ. რობიტაშვილმა, ბ. ლობჟანიძემ აღნიშნეს, რომ ტყის უბნებისა და დასვენების ბაზების მიმაგრება საწარმო-ორგანიზაციათა ცალკეული კოლექტივებისათვის, უეჭველია, აამაღლებს მათს პასუხისმგებლობას ამ უბნების მდგომარეობისათვის. მშრომელები არ დაუშვებენ ტყის სავარგულების დანაგვიანებას, ხანძრების გაჩენას, ნარგავების გაფუჭებას, პირუტყვის ძოვებას. მოსწავლე ახალგაზრდობაში ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელობის პროპაგანდას, მშობლიური ბუნებისადმი სიყვარულის პატრიოტული გრძნობის ჩანერგვას ხელს შეუწყობენ სასკოლო სატყეოები. თბილისის მოსახლეობისათვის დიდი და სასარგებლო საქმე იქნებოდა მდინარე ვერის ხეობისა და ახლომდებარე ფერდობების გამწვანება, ამ ტერიტორიაზე პარკის შექმნა. კომისიამ აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ნარგავთა ჯიშების შერჩევა.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხ. ჯავახიშვილმა. თბილისისა და რუსთავის გარშემო მწვანე ზონის გაფართოება, გარემოს გაჯანსაღება და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესება, — თქვა მან, — დიდი პატრიოტული საქმეა და მიზნად ისახავს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი სიმდიდრეთა გამრავლებას. თბილისის გამწვანება, რაზეც აქ ილაპარაკეს, ნაკარნახევია თვით ქალაქის მდებარეობით, კლიმატით, მოსახლეობის მატებით და, ბოლოს შიდა წვის ძრავიანი ტრანსპორტის რაოდენობის განუხრელი ზრდით. გულდასმით უნდა შევისწავლოთ ჩვენი პარკების, ბაღების შემდგომი გაფართოების, თბილისის ტერიტორიის გამწვანებისა და ვერის პარკის შექმნის საკითხები. საწარმო-დაწესებულებების კოლექტივებისათვის ტყის უბნებისა და დასვენების ზონების მიმაგრების საკითხების გადასაწყვეტად საჭირო გახდება გარკვეული წესების შემოღება და შესაძლოა შესაბამისი ინსტრუქციებიც.

უნდა ითქვას, — ხაზი გაუსვა ამხ. ჯავახიშვილმა, — რომ ჩვენი პრესა ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ. მშრომელები მხურვალედ იწონებენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცება. გაზეთებმა, ჟურნალებმა, რადიომ და ტელევიზიამ კვლავაც სისტემატურად უნდა გააშუქონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, ვაჩვენონ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგები, რომლებზეც მიმაგრებულია მწვანე ზონის უბნები.

ამხ. ჯავახიშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ სატყეო მეურნეობის კომიტეტი, სამინისტროები, უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები პარტიის თბილისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტების მხარდაჭერითა და დახმარებით წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

მუდმივმა კომისიამ ცნობად მიიღო ამხ. კუჭავას განცხადება, რომ სატყეო მეურნეობის კომიტეტმა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი განახორციელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად.

კომისიამ დაავალა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად 10 დღეში დაამთავროს მწვანე ზონის ცალკეული უბნების მიმაგრება სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, უახლოეს ხანში შეიმუშაოს მიმაგრებულ უბნებზე სამუშაოთა წარმოების პირობები და წესები, აგრეთვე სატყეო სამეურნეო ორგანოების, სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ურთიერთვალდებულებანი.

საქართველოს სსრ სახმშენს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტს ევალებათ ერთი თვის ვადაში წარუდგინონ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოსაზრებანი და წინადადებანი მდინარე ვერის ხეობაში მთის ფერდობების გამაგრებისა და გამწვანების და ამ ტერიტორიაზე პარკის გაშენების შესახებ.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ საჭიროების კვალობაზე მუდმივი კომისიის წინაშე უნდა აღძრას ხოლმე მომწიფებული საკითხები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად, შეიტანოს წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს დროულად და წარმატებით შესრულებას. (საქინფორმი)

გავაფართოვოთ ტყეები თბილისისა და რუსთავის გარშემო!

ყველამ გავაშენოთ

დიდი სიხარული მოგვგვარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ თბილისისა და რუსთავის გარშემო მწვანე ზონის შექმნის შესახებ. ლამაზად მოიხატება ჩვენი დედაქალაქის შემოგარენი — გადაიჭიმება ხელოვნური ტყის უზარმაზარი მასივი და იგი ჩვენს გარემოს გააკეთილშობილებს, გააჯანსაღებს.

თვითეულმა ჩვენგანმა, თბილისისა და რუსთავის, მთელი საქართველოს თვითეულმა მშრომელმა, მუშამ და მოსამსახურემ, კოლმეურნემ და ინტელიგენციის წარმომადგენელმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საშვილიშვილო და ჭეშმარიტად დიდებულ საქმეში.

ჩვენ მიერ ახლად დარგული და გახარებული ნერგები რამდენიმე წლის შემდეგ დიდ ხეებად იქცევიან, აშრიალდება ტყე და დასასვენებლად უამრავი მშრომელი მიაშურებს. ბუნების წიაღში დასვენება კი ხელს უწყობს ადამიანთა შემოქმედებითს განწყობილებას, წარმოშობს დადებითს ემოციებს, უნერგავს ჰუმანიზმს, მშობლიური მხარის, სამშობლოს სიყვარულს.

რ. დვალი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

22 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა გერმანელთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, გერმანელთა კომუნისტური პარტიის საარის მხარის თავმჯდომარესთან ჰაინც მერკელთან და გერმანელთა კომუნისტური პარტიის საარის მხარის განათლებისა და კულტურული პოლიტიკის მდივანთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის საზოგადოების საარის მხარის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტის მოადგილესთან ლუტვინ ბისთან.

გერმანელი ამხანაგები მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ. გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. ვ. მ. სირაძემ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ვითარდება კულტურული გაცვლა, პირადი კონტაქტები, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირს, კერძოდ, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. ასეთი კონტაქტები, ხაზი გაუსვა მან, ორივე მხარისათვის სასარგებლოა.

გერმანელთა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს გააცნეს საქართველოს ისტორიული წარსული, რესპუბლიკის დღევანდელი სახე, პარტიული ორგანიზაციების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ჰაინც მერკელმა თქვა, რომ ჩვენი ურთიერთობის განუწყვეტელი გაფართოება მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს, ყველა სოციალისტური ქვეყნის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წარმატებებს, გერმანელთა კომუნისტური პარტიის წვლილს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის ურთიერთგაგების, ნდობისა და მეგობრობის დამყარებაში. თავის ყოველდღიურ მუშაობაში, განაცხადა მან, ჩვენ ვსწავლობთ, ვიზიარებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტებთან ერთიანობა ჩვენი დროშაა.

ჰაინც მერკელმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვის გერმანელთა კომუნისტური პარტია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელთა საარსებო უფლებებისათვის.

ლუტვინ ბისმა შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს მხატვრული კოლექტივების გამოსვლებით მიღებული შთაბეჭდილებანი, აღნიშნა ოპერა „დაისის“ წარმატება საარბრიუკენის თეატრის სცენაზე. მან გამოთქვა სურვილი, რომ ყოველნაირად გაფართოვდეს კულტურული ურთიერთობა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, განმტკიცდეს თანამშრომლობა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა

პარტიული აქტივის კრებებზე

რუსთავი. (საქ. კორ.). გაიმართა საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა „საქართველოს კპ თებერვლის პლენუმის შედეგები და საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები". მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაძე, ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ხაზარაძე, № 1 სამშენებლო ტრესტის მმართველი გ. მანჯგალაძე, ქარხანა „ცენტროლიტის" ზეინკალი ვ. ხაზიოვი, ცემენტის ქარხნის პარტბიუროს მდივანი ნ. რევია, ლითონ-კონსტრუქციების ქარხნის ოპერატორი რ. მახარაძე, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. წეერაშე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ასლანიკაშვილი, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახიძე და სხვ.

პარტიული აქტივის კრებამ ჩაიარა საქმიანი, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

მისმა მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების კონკრეტულ ამოცანებზე, ამ საქმეში ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკების პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებაზე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ანალიზი გაუკეთეს უკანასკნელ პერიოდში გაწეულ პარტიულ და სამეურნეო საქმიანობას, გაბედულად ამხილეს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ, აღინიშნა, რომ რუსთავის სამრეწველო საწარმოებმა უკანასკნელ წლებში დათმეს მოწინავეთა პოზიციები. გასულ, 1972 წელს ქალაქის 25 საწარმოდან 11-მა ვერ შეასრულა სახელმწიფო დავალება, რის შედეგად ქვეყანას დააკლდა 24 მილიონი მანეთის პროდუქცია. ჩამორჩენილთა რიგებში აღმოჩნდნენ ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის მეტალურგიული და ცემენტის ქარხნები, ქიმიური კომბინატი და სხვა.

ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზებად დასახელებული იქნა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტება. მეურნეობის გაძღოლაში დაშვებული შეცდომები, დარღვევები და დამახინჯებანი. პარტიის საქალაქო კომიტეტი და საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, თუმცა განიხილავდნენ წარმოების აქტუალურ საკითხებს, მაგრამ ვერ აღწევდნენ სათანადო ქმედითობას. ამასთან ითქვა, რომ ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა კარგად დაიწყეს მიმდინარე სამეურნეო წელი. მათ იანვარ-თებერვალში სახელმწიფო გეგმის გადამეტებით აწარმოეს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მინერალური სასუქები, ცემენტი, ქიმიური ბოჭკო და სხვა პროდუქცია.

პარტიული აქტივის კრებამ მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მიიღო ისინი განუხრელად ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

ზ. მერკვილაძე.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ი. ქირია სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. გ. რ. კვარაცხელია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. გ. გოგიბერიძემ. (საქინფორმი).

„საქართველოს აგიტატორი" № 6

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, მეექვსე ნომერი.

მიმდინარეობს პარტიული დოკუმენტების გამოცვლა

კომუნისტები — ტექნიკური პროგრესის თაოსნები

21 მარტს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომი შეუდგა პარტიული დოკუმენტების გამოცვლას.

პარტდოკუმენტების გამოცვლის პირველ დღეს პარტიული ბილეთები გადაეცათ სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის კომუნისტებს. მათ შორის არიან საამწყობო საამქროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი ლ. შავლაძე, ამავე საამქროს შემფუთავი ნ. გოგებაშვილი, რომელმაც თავისი საუცხოო მუშაობით მოიპოვა უფლება ჰქონდეს პირადი დამღა, საამწყობო საამქროს გამმართველი, ხარისხის ფრიადოსანი ვ. ლიშინი, მექანიკური საამქროს ზეინკალი, „საუცხოო ხარისხის" ბრიგადის წევრი, კომუნისტური შრომის დამკვრელი თ. ბერელიძე, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ხარისხის ფრიადოსანი ვ. რევენკო და ბევრი სხვა.

თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის — რაიონის ყველაზე მოწინავე საწარმოს პარტიული ორგანიზაცია პარტდოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებას შეხვდა როგორც კომუნისტთა ძალების, ბრძოლისუნარიანობის დათვალიერებას. კიდევ უფრო ამაღლდა კომუნისტთა პასუხისმგებლობა წარმოებაში თავიანთი როლისათვის, თავიანთი ორგანიზაციის საქმეებისათვის. სწორედ კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში საწარმოს ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას. კომუნისტთა აქტიური მონაწილეობით დამზადებულია აღჭურვილობა და ავტომატიზებულია ზუსტი მექანიკისა და ელექტრონიკის სამთრთული სახეობის ნაწარმის ათვისების მთელი რიგი ოპერაციები.

კომუნისტთა — წარმოების ნოვატორთა წინადადებით დანერგილია ბლოკების გამოსაცდელი და გასამართავი სტენდი.

პარტიული ორგანიზაცია აკონტროლებს დიდ ტექნიკურ სიახლეთა განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია საწარმოს სოციალური განვითარების გეგმით. მაგალითად, ლითონების გალვანური დაფარვისათვის საჭირო პროგრამული მართვის ორი ავტომატური საკონვეიერო ხაზის დანერგვის მიმდინარეობა განიხილეს პარტიულ კრებაზე. პარტიულმა კომიტეტმა განიხილა აღჭურვის ჩქაროსნული დამზადების სისტემის გამოყენებისა და ინსტრუმენტული საამქროს დამამზადებელი უბნის მექანიზაციის საკითხი. დასახულმა ღონისძიებებმა დააჩქარეს მათი გამოყენება, რის შედეგადაც დაზოგილია 230 ათასი მანეთი და წარმოების სხვა უბნებისათვის განთავისუფლებულია 168 მუშა.

ახლა ქარხნის კომუნისტები იბრძვიან პირველი წარდგენისთანავე პროდუქციის უდეფექტო ჩაბარებისათვის, ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საწარმოო ოპერაციის პროგრამული მართვის სისტემის დანერგვისათვის. უეჭველია, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

1973 წლის ნიმუშის პარტიული ბილეთები პირველ დღეს მიიღეს ლენინური პარტიის ვეტერანებმა ა. მაკოევმა, დ. კალანდაძემ, ე. მიხაილოვამ, წარმოების ნოვატორებმა თბილისის „გვირაბმშენის" სამმართველოს № 12 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ობოლაძემ, თბილისის „გვირაბმშენის" სამმართველოს სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მემონტაჟე ზეინკალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. დათაშვილმა და სხვებმა. ყველას თავისი ბედი, თავისი პროფესია, თავისი ხასიათი აქვს, მაგრამ ყველას მათ ანათესავებს პარტიის საქმის უანგარო სამსახური, ლენინის იდეების ერთგულება. (საქინფორმი).

მეტი ხორცი, რძე — სამშობლოს!

მიმოხილვა

რესპუბლიკის მეცხოველეთა შორის ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში უკვე დაწინაურდა მრავალი რაიონი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ქარელის, გორის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, გარდაბნის, მცხეთის და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ყველაზე მეტი ხორცი ჩააბარა გარდაბნის რაიონმა. პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 12.450 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 12.963 ცენტნერი ხორცი. წითელწყაროელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 8.198 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 7.540 ცენტნერისა, ახალქალაქის რაიონმა პირველი კვარტალის გეგმა 122 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ ამ საქმეში არიან ჩამორჩენილებიც. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონმა პირველ კვარტალში გეგმით სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 9.800 ცენტნერი ხორცი, 16 მარტისათვის მიყიდული იყო 6.201 ცენტნერი, რაც გეგმის 63 პროცენტს შეადგენს. ამ პერიოდისათვის ჩამორჩენილთა რიგებში იყვნენ კასპის, ახმეტის, ბოლნისის, დუშეთის, თიანეთის, ცაგერის, წალენჯიხის, ჩოხატაურის რაიონები, აჭარის ასს რესპუბლიკა.

სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალებები ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდეს ასპინძის, ქარელის, გორის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, ყვარლის, მცხეთის, ცაგერის, აბაშის, ცხაკაიას, ხობის რაიონებმა. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვაში ძლიერ ჩამორჩნენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, გარდაბნის, წალკის, თეთრი წყაროს, ჩოხატაურის, ონის რაიონები.

პირველი კვარტალის დამთავრებამდე დღეებიღა დარჩა. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმების გადაჭარბებით შესრულება. გეგმა-ვალდებულება უნდა შეასრულოს ყველა რაიონმა.

ნ. ჯანჯღავა.

სიახლე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის როლის ამაღლებას და მათ დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, წელს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონებში, ძირითად ექსპოზიციასთან ერთად, ფართოდ ჩაღდება მასობრივი მუშაობა. იმართება სემინარები, თემატური და მოძრავი გამოფენები, დათვალიერებები, კონკურსები სოფლის მეურნეობის, სატყეო და წყლის მეურნეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე, ეწყობა ექსკურსანტთა შეხვედრები წამყვან მეცნიერებთან, სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო სპეციალისტებთან და მოწინავეებთან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების დელეგაციათა შეხვედრები.

ამ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო მეურნეობანი და წარმოების მოწინავენი. მაგალითად, პავილიონში „მებაღეობა, მევენახეობა და სუბტროპიკული კულტურები" მოქმედებს თემატური გამოფენა „მეჩაიეობის ინტენსიფიკაცია", სადაც უჩვენებენ ინგირისა და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობების, ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების, ჩაქვის ჯიშთნაკვეთის, ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტის და სხვა გამოსაცდელი კოლექტივების მიღწევებს.

გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანის, კრასნოდარის მხარის მეცნიერთა და ჩაის მეურნეობის მოწინავეთა შეხვედრა, რომელზეც განიხილეს მეჩაიეობის ინტენსიფიკაციის, სასოფლო-სამეურნეო პროცესების ქიმიზაციისა და მექანიზაციის გზები.

ჩვენი რესპუბლიკა მონაწილეობას მიიღებს დარგთაშორის გამოფენაში, რომელიც მოეწყობა ოქტომბერში პავილიონებში „ტექნიკური კულტურები" და „თითოეული ჰექტარი მიწის მაღალეფექტიანი გამოყენება". ამ გამოფენის ძირითადი მიზანი იქნება უჩვენოს სოფლის მეურნეობაში მიწის, იმ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა რაციონალური გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, მთლიანი მოსავლის ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი თვითღირებულების შემცირებას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 1973 წელს მონაწილეობას მიიღებენ თემატურ გამოფენებში: „ჩაის ფოთლის წარმოების პროგრესული ტექნოლოგია სპეციალიზებულ მეურნეობებში ფართო მექანიზაციის საფუძველზე", „ყურძნის დამყნობილი სარგავი მასალის გამოყვანის პროგრესული ხერხები", „თესლის სახელმწიფო სტანდარტების დაცვა — მარცვლეულის მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის გადიდების უმნიშვნელოვანესი რეზერვი", „ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების, მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და შედეგები" და სხვ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა პირობები და მაჩვენებლები (ხუთწლედისათვის) სოფლის მეურნეობის დარგში გამოფენის მონაწილეთა შესარჩევად და მათი დასაჯილდოებლად.

გამოფენის მონაწილენი შეიძლება იყვნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებმაც მიაღწიეს დაწესებულ მაჩვენებლებს — მოსავლიანობას, მთლიან მოსავალს, ხორტულობას წამყვან დარგში, შეასრულეს მარცვლეულის, ხორცისა და ერთი-ორი სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმები მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად, აგრეთვე ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, წარმატება მოიპოვეს შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ფართოდ დანერგეს მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, რაციონალურად გამოიყენეს მიწა, რენტაბელურად უძღვებიან წარმოებას მთლიანად მეურნეობაში და წარმოდგენილ დარგში.

გამოფენის მონაწილენი შეიძლება იყვნენ რაიონები, რომლებმაც შეასრულეს პროდუქციის წარმოების გეგმა, გაადიდეს ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმა, მიაღწიეს წამყვანი კულტურების მოსავლიანობის (პროდუქტიულობის) მაჩვენებლებს, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებული მაჩვენებლების 80 პროცენტზე ნაკლები არ არის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში დანერგეს მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სახელმწიფო ჯიშთგამოსაცდელი ნაკვეთების, ბრიგადების, განყოფილებების, ფერმების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამხმარე საწარმოების, საკსოფლტექნიკის, წყალთა და სატყეო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად დაწესებულია საპატიო, პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები, ამასთანავე მიეცემათ პრემიები — ავტობუსები: კავზ-651 ა, რაფ-977 დმ, გაზ-69 ავტომობილები, ტელევიზორები, მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტები, წიგნების კომპლექტები ბიბლიოთეკისათვის. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დასაჯილდოებლად დაწესებულია საპატიო დიპლომი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ფასიანი საჩუქრები და ტურისტული საგზურები საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ. პრემიები, ფასიანი საჩუქრები და ტურისტული საგზურები მიეცემათ აგრეთვე მოწინავე მუშაკებს, სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ გამოფენის დიპლომებითა და მედლებით თანამედროვე მანქანების, მოწყობილობის და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა პროდუქციის შექმნისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებთან, დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად არჩევს მეურნეობებს, დაწესებულებებს, ბრიგადებს, რგოლებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეებს, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ექსპოზიციებში მათი მიღწევების საჩვენებლად. მათ შორის საუკეთესონი დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომებით, მედლებითა და პრემიებით.

თ. წერეთელი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი მეთოდისტი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 21 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

მწერალი არნო ონელი (ალექსანდრე კაციას-ძე ბურდილაძე) — ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

შალვა მიხეილის-ძე გაბესკირია, თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დირექტორი, — ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

ჩოხატაურის რაიონის თანეულის კოლმეურნეობაში უხეშად ირღვეოდა მიწათსარგებლობის წესები. ამის შესახებ რედაქციაში შემოსული მამხილებელი წერილი რედაქციამ ზომების მისაღებად გადაუგზავნა პარტიის ჩოხატაურის რაიკომს. რაიკომიდან გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.

მოქალაქე ტ. თოდრიასათვის კოლმეურნეობის წევრთა კრების დადგენილების გარეშე მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული 0,021 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მიცემისათვის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს შ. მეგრელიშვილს რაიკომის ბიურომ გამოუცხადა საყვედური.

კოლმეურნეობის სამშენებლო მასალების კერძო პირებისათვის მიყიდვისა და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ ფართობზე კომლის ჩასახლებისათვის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს გ. ჩხიკვიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მეცხოველეობის ფერმის მუშაკებისათვის საყანე მიწის უკანონოდ გამოყოფის გამო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. კალანდაძეს — საყვედური.

ინიციატივა, შეჯიბრება, ძიება

გავუფრთხილდეთ საწარმოს მარკის ღირსებას!

თბილისის ტყავ-საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა იმუშაოს უწუნოდ, გამოუშვას მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია

ხარისხი — საწარმოს მუშაობის სარკე

თბილისის ტყავ-საგალანტერიო ფაბრიკა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდების მოპოვებისათვის იბრძვის. უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის კოლექტივმა უკანასკნელ ხანს ფართო ნაბიჯი გადადგა პროგრესის გზაზე. გაადიდა პროდუქციის გამოშვება და, რაც ყველაზე კარგია, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. წელს ფაბრიკაში დამზადებული ოთხი სახის ნაწარმს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

მაგრამ ეს წარმატება უცებ არ მოსულა. საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის სისტემატური ზრუნვა ჯერ კიდევ გასული, მერვე ხუთწლედის პირველი წლებიდან დაიწყო. ბევრი ეფექტური ღონისძიება განახორციელეს ფაბრიკაში. აუმჯობესებდნენ, სრულყოფდნენ საწარმოო ბაზას, ზრუნავდნენ მუშათა დაოსტატებისათვის, ზრდიდნენ ახალგაზრდა მუშებს. და აი, ახალი ხუთწლედის პირველსავე წელს ამ ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო — ხარისხის გეგმა ნაცვლად 95,5 პროცენტისა 98,3 პროცენტით შესრულდა, ხარისხის გეგმის შესრულების მაჩვენებელი სტაბილური იყო 1971 წელსაც — 98,3 პროცენტი, გეგმა კი 96,8 პროცენტს ითვალისწინებდა.

ტყავ-გალანტერიის ოსტატებს შარშან პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი უკვე 97 პროცენტი დაუგეგმეს, და ისიც კვლავ გადაჭარბებით, 98,3 პროცენტით შეასრულეს. გამოშვებული პროდუქციის ასეთი სტაბილური ხარისხიანობა შემთხვევითი როდია. ფაბრიკაში დღითიდღე მატულობს ნოვატორ მუშათა რიცხვი, რომლებიც უწუნოდ მუშაობენ, ბევრია სამაგალითო ბრიგადები, უბნები, არის რამდენიმე სანიმუშო საამქრო, რომლებსაც უკანასკნელ ხანს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღიათ.

ფაბრიკის კოლექტივი ახლა მეტად ეფექტურად, რენტაბელურად შრომობს, წლიდან წლამდე ამცირებს წუნით გამოწვეულ ხარჯებს. აი მაგალითებიც: თუ 1970 წელს 6.840 ერთეულ წუნდებულ პროდუქციაზე ფაბრიკამ 31 რეკლამაცია მიიღო და 4.035 მანეთი გადაიხადა, შარშან ეს ხარჯები ბევრად შემცირდა და მხოლოდ 2.976 მანეთი შეადგინა, წუნდებული პროდუქცია საერთო რაოდენობის 0,4 პროცენტამდე შემცირდა.

წელს ამ მხრივ კიდევ უკეთესი მდგომარეობაა ფაბრიკაში. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ორ თვეში წუნდებული პროდუქციის ხვედრითი წილი 0,2 პროცენტამდე შეამცირეს.

ფაბრიკის კოლექტივმა გადახედა თავის რეზერვებს და გადაწყვიტა იბრძოლოს იმისათვის, რომ ხუთწლედის ბოლოს მთლიანად აღმოფხვრას წუნი და გამოუშვას მხოლოდ „ხარისხსნიშნიანი" და პირველი ხარისხის პროდუქცია.

ამ დღეებში გაიმართა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა აქტივის კრება. ტყავ-გალანტერიის ოსტატებმა ენთუზიაზმით იმსჯელეს თავიანთ რეზერვებზე და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აქვთ უწუნოდ მუშაობის ყველა შესაძლებლობა. თუ როგორ ფიქრობენ ამ პირობის განაღდებას, ამაზე ისაუბრეს კრების მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში.

• • •

კრების მონაწილეებმა მოუწოდეს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოო კოლექტივებს მხარი დაუჭირონ მათს ინიციატივას და გაშალონ ახალი შეჯიბრება დევიზით: ვიშრომოთ დამკვრელურად, არ დავუშვათ წუნი, გამოვუშვათ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

კონტროლი აუცილებელია

ი. ერისთავი,
ფაბრიკის დირექტორი.

ჩვენი კოლექტივი დღეს მეტად დიდ ვალდებულებას რომ კისრულობს, ეს შემთხვევითი არ არის, რადგან გვაქვს უწუნოდ, ურეკლამაციოდ მუშაობის დიდი რეზერვები. მათი გამოვლინება და ამოქმედება სადღეისოდ გადაუდებელი საქმეა.

როცა ამ ხუთწლედში საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოსულ რეკლამაციებს ანალიზს ვუკეთებდით, დავრწმუნდით, რომ ორი წლის მანძილზე ჩვენმა კოლექტივმა მთელი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა, შარშან ჯარიმების სახით 2.976 მანეთი მაინც გადაიხადა.

ჩვენს კოლექტივს მაინც ბევრი უხარისხო პროდუქცია გაეპარა, რითაც შეილახა საწარმოო მარკის ღირსება, უკმაყოფილო დარჩა მომხმარებელი. რა იყო ამის მიზეზი? პირველ რიგში ის, რომ სათანადო კონტროლს ვერ ვუწევდით გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, უფრო სწორად, ეს კონტროლი ყოველდღიური არ იყო. ადგილებზე არ ვაწარმოებდით წუნისმკეთებელთა სისტემატურ აღრიცხვას, ხშირად ლმობიერებას ვიჩენდით იმათ მიმართ, ვინც უხარისხო პროდუქციას უშვებდა, ნაკლებად ვეხმარებოდით, რომ მუშაობა გაეუმჯობესებინათ და, რა დასამალავია, რომ ვერც იმ მუშების წახალისების საქმე იყო მოგვარებული, რომლებიც მხოლოდ საუკეთესო პროდუქციას ამზადებდნენ.

ჩვენს საწარმოში ბევრია სანიმუშო ახალგაზრდა მუშა, რომლებმაც კარგად იციან, რომ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სისტემატურ ზრუნვას. ამიტომ ეს მოწინავე მუშები სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას, დიდი პასუხისმგებლობით შრომობენ.

მაგრამ ის, რასაც გუშინ მივაღწიეთ, დღეს საკმარისი აღარ არის. ახლა მოთხოვნათა საზომი მეტია, ამიტომ შრომაც მეტი გვმართებს. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ საწარმოში იყოს მაღალნაყოფიერი შრომისათვის აუცილებელი ყველა პირობა. უნდა განმტკიცდეს საწარმოო დისციპლინა, არც ერთი წუთით არ უნდა დაირღვეს, არ უნდა შეფერხდეს შრომის რიტმი.

სამწუხაროდ, ჯერ ვერ მივაღწიეთ ამას. ზოგიერთი ჩვენი მუშა თუ მოსამსახურე კვლავ განაგრძობს უპასუხისმგებლოდ შრომას, უგულოდ ასრულებს დავალებას, უშვებს წუნს. კიდევ მეტი, ზოგიერთი უმიზეზოდ აცდენს სამუშაოს, არ იცავს შრომის შინაგანაწესს, სახელს უტეხს კოლექტივს.

თუ გვინდა შევასრულოთ ადრე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, აგრეთვე დღევანდელი მეტად საპატიო ვალდებულება უწუნოდ მუშაობის შესახებ, საჭირო იქნება ძირეულად შევცვალოთ საქმისადმი დამოკიდებულება, ამასთან სრული შეურიგებლობა გამოვიჩინოთ სოციალისტური და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა მიმართ. ყოველდღიური კონტროლი უნდა დავნერგოთ ყოველ სამუშაო ადგილზე, აღვრიცხოთ და შეფასება მივცეთ თითოეული მუშის შრომას, ყოველდღიურად შევაჯამოთ მუშაობის, შეჯიბრების შედეგები, — აი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

მაგალითის ძალა

ა. კობერიძე,
პარტბიუროს მდივანი.

ფაბრიკის კომუნისტებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ხუთწლედის გეგმის, გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმე პირველ რიგში ადგილებზე, უბნებსა და საამქროებში უნდა გადაწყდეს, რომ თითოეულ მათგანს მეტი პასუხისმგებლობით შრომა მოუწევს. სწორედ მათ, კომუნისტებმა, უნდა აჩვენონ პირადი მაგალითი სხვებს, შეჯიბრებას ენთუზიაზმი შემატონ.

კარგია, რომ ახალ ვალდებულებებს ასეთი ენთუზიაზმით ვკისრულობთ, ესე იგი გვწამს ჩვენი შესაძლებლობებისა. მაგრამ თუ ნოვატორთა რიგები არ გავზარდეთ, თითოეული მუშის დაოსტატებისათვის არ ვიზრუნეთ, მხოლოდ უმაღლესი პროდუქციის გამოშვება გაგვიჭირდება.

ამას წინათ ჩვენს ფაბრიკაში ჩატარდა კონკურს-დათვალიერება თავის პროფესიაში საუკეთესო მუშის წოდების მოპოვებისათვის. ამ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმაც და კომკავშირელებმაც. მაგრამ ისეთი საუკეთესო მუშები, როგორიც არიან ამ კონკურსის ლაურეატები კომუნისტი ც. ჩიქოვანი, ა. ომიაძე და ე. წინგუაშვილი, ჯერჯერობით ყველა უბანსა და საამქროში როდია. მეტი მუშაობა მოგვიწევს კომკავშირულ აქტივთან, რადგან საწარმოს კოლექტივში უმრავლესობა კომკავშირელი ახალგაზრდობაა.

ყოველნაირად წავახალისებთ მოწინავეთა შრომას. ამისათვის გამოვიყენებთ როგორც ეკონომიურ, ისე მორალურ სტიმულებს. უფრო გავაფართოვებთ სახალხო კონტროლისა და კომკავშირული პროჟექტორების საგუშაგოებს, რეგულარულად გავხდით რეიდებს დევიზით „ხარისხი ჩვენი საზრუნავია". რეიდების შედეგებს გადავცემთ საფაბრიკო რადიოთი, აგრეთვე გავაშუქებთ საამქროთა და საფაბრიკო კედლის გაზეთებში.

ფაბრიკის პარტიული ბიურო სისტემატურად, უფრო ქმედითად განიხილავს ხარისხის საკითხებს და რეგულარულად შეამოწმებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. თუ ჩვენ ერთეულთა სამაგალითო შრომას საყოველთაოს გავხდით, ვალდებულებებს შევასრულებთ, და ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

წუნს გვერდს ნუ ავუვლით

ლ. ქალიაშვილი,
ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი.

დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ წუნმდებლებს და ისინიც კეთილსინდისიერად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ ჯერ ყველაფერი რიგზე როდია. აი ფაქტიც: შარშან ჩვენმა წუნმდებლებმა გვერდი აუარეს, ვერ შენიშნეს, თუ არასწორად შეაფასეს 4.230 ცალი სხვადასხვა სახის ნაწარმი, რის გამოც საწარმომ 2.976 მანეთი ჯარიმა გადაიხადა.

წელს ამ მდგომარეობას ვეღარ შევურიგდებით, ნაკისრი გაზრდილი ვალდებულება ამის საშუალებას არ მოგვცემს, მიცემულ პირობას ვერ გავტეხავთ, რადგან ინიციატორები ვართ და სხვებს მაგალითი უნდა ვუჩვენოთ.

რა ევალება თითოეულ წუნმდებელს? გარდა იმისა, რომ დროულად უნდა შენიშნოს და გამოავლინოს უხარისხო პროდუქცია, ამასთან უნდა მივიდეს მუშასთან, ვინც ის დაამზადა და მიუთითოს, თუ დახმარება სჭირდება, დაეხმაროს. ერთი სიტყვით, წუნი „სათავეშივე" უნდა აღმოიფხვრას, მისი „დინება" იქვე უნდა შეწყდეს. ასე იქცევიან წუნმდებელი ამონაშვილი, შიოშვილი, აფციაური, ჭარბაძე, ცერიაშვილი, დემეტრაძე, ნავდარაშვილი. მაგრამ არიან ისეთი წუნმდებლებიც, რომლებიც პროდუქციას არც კი სინჯავენ, ისე ადებენ პირველი ხარისხის დამღას. ასეთთა შორის არიან წუნმდებლები სოლოღაშვილი, ბიწაძე და ბალამწარაშვილი.

მართალია, ჩვენ სათანადო კონტროლს ვუწევდით მათს მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი არ იჩენდნენ სათანადო პასუხისმგებლობას, ძველებურად მუშაობდნენ. ახლახან შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ წუნმდებელ ბალამწარაშვილის მიერ შემოწმებული უკვე შეფუთული პირველი ხარისხის პროდუქციიდან 15 პროცენტი მეორე ხარისხისა იყო.

გასაგზავნად დამზადებული პროდუქციის ადგილზევე შემოწმება ჩვენი განყოფილების მუშაკებმა პრაქტიკაში დავნერგეთ. სამწუხაროდ, ადგილებზე ნაკლებ დახმარებას გვიწევენ ოსტატები. ჩვენი შემოწმების შემდეგ ხომ უკვე ისინი არიან მოვალენი კონტროლი გაუწიონ მუშის შრომას. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდი ხდება. აუცილებელია ყველა წუნმდებელი, მუშა თუ ოსტატი ერთნაირი გულმოდგინებით მოეკიდოს ამ საქმეს. წუნს გვერდს ვერ ავუვლით.

შეჯიბრება ახალი დევიზით

მ. ნათიძე,
საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

ახლა საწარმოს 433 დამკვრელი ჰყავს. ეს მუშები შეჯიბრების მოწინავენი არიან და მათს ენთუზიაზმს, გამოცდილებას უნდა დავეყრდნოთ ახლაც, როცა მეტად დიდ ვალდებულებებს ვკისრულობთ. ეს ვალდებულება რომ შევასრულოთ, ფართოდ უნდა გავშალოთ შეჯიბრება „პროფესიაში საუკეთესოს" წოდების მოპოვებისათვის.

რაც უფრო მეტი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გვეყოლება, მით უფრო მეტ და მაღალხარისხოვან პროდუქციას გამოვუშვებთ. უნდა მოვამზადოთ ახალი კადრები და სისტემატურად უნდა ვიზრუნოთ მათი დაოსტატებისათვის.

ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ჩვენი საწარმოს ისეთი მოწინავე მუშების გამოცდილება, როგორიც არიან ც. ჩიქოვანი, მ. ვარამაშვილი, ე. სუსანვაძე, შ. მარქარაშვილი და სხვები. თუ შარშან 90 მუშა მოვამზადეთ, წელს 120 ახალგაზრდას მაინც უნდა ავუმაღლოთ კვალიფიკაცია.

დიდ ყურადღებას დავუთმობთ ადგილებზე შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმებას. საამქროებში ყოველდღიურად შეჯამდება შეჯიბრების შედეგები, რომლებსაც გამოვაკრავთ სპეციალურ დაფებზე. ამ ოპერატიული აღრიცხვით ჩვენ შევძლებთ ყოველდღიურად გამოვავლინოთ საამქროს საუკეთესო უბნები, ბრიგადები, ინდივიდუალური მომუშავენი.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ საამქროებს და უბნებს გადავცემთ გარდამავალ დროშებს, ინდივიდუალურ მომუშავეთა გვარებს კი შევიტანთ საპატიო წიგნში, წავახალისებთ მატერიალურადაც.

კვლავაც დამკვრელურად

ბ. წილოსანი,
№ 2 საგალანტერიო საამქროს ოსტატი.

ჩვენმა კოლექტივმა ნაკისრი გაზრდილი ვალდებულებები რომ შეასრულოს, ჩვენ, ოსტატებს, დაძაბული შრომა მოგვიწევს. ყოველ უბანზე უნდა მივაღწიოთ შრომის მაღალ ნაყოფიერებას, თითოეულ მუშას უნდა შევუქმნათ მუშაობის საუკეთესო პირობები, კონტროლი გავუწიოთ დავალებების შესრულებას, პროდუქციის ხარისხს.

კარგია, რომ დღეს პროდუქციის მარტო რაოდენობაზე აღარ ვლაპარაკობთ და ხარისხს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ეს განსაკუთრებით ჩვენს საამქროშია საჭირო, რადგან მუშათა უმეტესობას დღიური ნორმების შესრულება აღარ უჭირთ, ამიტომ თამამად შეგვიძლია შესრულების ხარისხს მეტი საზომით მივუდგეთ. ასეც მოვიქცევით, ვიშრომებთ დამკვრელურად და ხარისხსაც ზრუნვას არ მოვაკლებთ.

მუშური სინდისი

ვ. ერაძე,
№ 2 საგალანტერიო საამქროს მუშა.

ჩვენს საამქროში ძირითადად ახალგაზრდებია და შრომას მეტი ხალისი აქვს. გადაწყვეტილი გვაქვს გამოვუშვათ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და იშვიათად თუ გავტეხთ სიტყვას, რადგან ისეთი საუკეთესო ოსტატი მუშები, როგორიც არიან ი. ზუბაშვილი, რ. კუკულავა, ს. გასპაროვა, ე. ლოლაძე, ც. ჩიქოვანი, არა თუ თვითონ უშვებენ მაღალხარისხოვან ნაწარმს, არამედ სხვებსაც უწევენ კონტროლს და ეხმარებიან კიდეც.

პირადად მე მწამს, რომ ჩვენი საამქროს კოლექტივის მუშაობაში ნაკლი არ იქნება, თუ შევძლებთ ზოგიერთი უპასუხისმგებლო მუშის გამოსწორებას, რომ იზრუნოს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. თითოეულმა ჩვენგანმა თავისი მუშური სინდისით უნდა იკისროს ვალდებულება, რომ არ დაუშვას წუნი.

ვინც თავი ისახელა

სურათებზე: მარცხნივ — ფაბრიკის მთავარი მოდელიორი კ. გრიგორიანი, მოდელიორები ხ. ცოცოლაშვილი, ლ. ლაქტიონოვა და ს. ხაჩატუროვა; მარჯვნივ — № 1 საგალანტერიო საამქროს მოწინავე მუშები გ. ჯანტანგაშვილი და ლ. ბენდიანიშვილი, რომლებიც უწუნოდ მუშაობენ.

ვ. მოგოსიან ფოტო.

მსოფლიო დღეს

ლ. სვობოდა კვლავ აირჩიეს

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად

პრაღა, 22 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ბ. კრაევსკი გვატყობინებს:

პრაღის კრემლის ერთ-ერთ ისტორიულ დარბაზში დღეს შეიკრიბნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების სახალხო პალატისა და ეროვნებათა პალატის დეპუტატები, რათა გაერთიანებულ სხდომაზე აერჩიათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი.

გაერთიანებული სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარემ ა. ინდრამ. მისი წინადადებით ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი: ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები და ახლად არჩეული პრეზიდენტის საზეიმო ფიცი.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, რომელმაც დეპუტატებს შესთავაზა კვლავ აერჩიათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი ლ. სვობოდა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების ორივე პალატის დეპუტატები შეუდგნენ ფარულ კენჭისყრას. შემდეგ ა. ინდრამ გამოაცხადა შედეგები. სხდომის მონაწილე ყველა დეპუტატმა ერთხმად მისცა ხმა ლ. სვობოდას არჩევას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ლ. სვობოდას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე არჩევა მიულოცეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრებმა.

მეგობრული შეხვედრა

ისლამაბადი, 22 მარტი. (საკდესი). პაკისტან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებამ ისლამაბად — რავალპინდში დიდი დარბაზობა გამართა საქართველოს სს რესპუბლიკიდან ჩამოსული ტურისტთა ჯგუფის პატივსაცემად. დარბაზობაზე გამოვიდნენ საზოგადოების პრეზიდენტი, ეროვნული ასამბლეის დეპუტატი მალიკ ჯაფარი და „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი პოეტი ახმად ფაიზი.

ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე

ვაშინგტონი, 22 მარტი. (საკდესი). იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გამართა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ვ. ს. ალხიმოვის მეთაურობით, ვაშინგტონში დაიდო შეთანხმებანი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო საექსპორტო-საიმპორტო ბანკთან და სხვა ბანკებთან. ეს შეთანხმებანი ეხება გრძელვადიან კრედიტებს, რომლებიც საჭიროა იმ მანქანებისა და მოწყობილობის, კერძოდ, კამის საავტომობილო ქარხნისათვის განკუთვნილი მოწყობილობის გასანაღდებლად, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ყიდულობენ საბჭოთა საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი, 21 მარტი. (საკდესი). აქ გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია. დეპუტატები განიხილავენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ანგარიშსა და კანონპროექტს სამართალ-წარმოების შესახებ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ანგარიში გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ე. ფოკმა.

უნგრეთში სოციალისტური წყობილება, ხაზგასმით აღნიშნა ე. ფოკმა, ვითარდება მტკიცე საფუძველზე. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის, მისი შეუპოვარი შრომისა და მთელი ხალხის შრომის მეოხებით მივდივართ წინ სოციალისტური საზოგადოების სრული აშენების გზით.

ე. ფოკმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას ხელს უწყობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება. ქვეყნის საქონელბრუნვის ორი მესამედი მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე, ამასთან მესამედზე მეტი — საბჭოთა კავშირზე.

ე. ფოკმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო მდგომარეობის კეთილსასურველ განვითარებაში მთავარ როლს ასრულებენ სოციალისტური ქვეყნები, რომ საბჭოთა კავშირი წარმატებით ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამას.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების აქტიურ პოლიტიკას საერთაშორისო ასპარეზზე ახალ-ახალი წარმატებანი მოაქვს ევროპასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში. სოციალიზმის სამყაროს, პროგრესული კაცობრიობის წარმატებანი, თქვა ე. ფოკმა, უფრო მეტი იქნებოდა, სოციალისტური ქვეყნები რომ ერთად გამოდიოდნენ, თვითეული სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელები რომ ეძებდნენ იმას, რაც მათ აერთიანებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვწუხვართ, თქვა ე. ფოკმა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელებს დღემდე ვერ შეუგნიათ ამ ბოლო ათწლეულის დიდმნიშვნელოვანი გაკვეთილი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად განაგრძობს ღონისძიებებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ურთიერთობის განვითარების ინტერესებისათვის.

შეეხო რა კაპიტალისტურ ქვეყნებთან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობას, ე. ფოკმა აღნიშნა, რომ უნგრეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა ამ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად განვითარდა.

შემდეგ სესიაზე გამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. ბირო. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების საწინდარი, თქვა მან, არის უნგრეთის ურთიერთობის განმტკიცება სოციალისტურ ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან.

სამხრეთ ვიეტნამის დილეგებში

ვაშინგტონი, 22 მარტი. (საკდესი). ორმა ახალგაზრდა ფრანგმა ჟ.-პ. დებრიმ და ა. მენრამ, აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე დამსწრეთ უამბეს, რომ სამხრეთ ვიეტნამის დილეგებში ულმობლად ილუპებიან პატიმრები, რომლებიც ვერ უძლებენ სადისტურ ტანჯვა-წამებას.

კონგრესმენმა ბელა აბზუგმა (დემოკრატი, ნიუ-იორკის შტატი), რომელმაც ეს ორი ფრანგი ჟურნალისტებს წარუდგინა, განაცხადა, რომ განზრახული აქვს უახლოეს ხანებში შეიტანოს რეზოლუცია წარმომადგენელთა პალატაში და მოსთხოვოს სახელმწიფო დეპარტამენტსა და თავდაცვის სამინისტროს წარმოადგინოს სრული ინფორმაცია სამხრეთ ვიეტნამში არსებულ პოლიტიკურ პატიმართა შესახებ.

მჟღავნდება ახალი ფაქტები

ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან მჭიდრო კონტაქტით

ვაშინგტონი, 22 მარტი. (საკდესი). მჟღავნდება სულ ახალ-ახალი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ამერიკის მონოპოლიებს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად არაერთგზის უცდიათ დაემხოთ ჩილეს სახალხო ერთიანობის მთავრობა.

ამერიკის უდიდესი კომპანიის „ინტერნეშნლ ტელეფონ ენდ ტელეგრაფ კომპანის" ჩარევა ჩილეს საშინაო საქმეებში ახლა გახდა მოსმენის თემა, რომელსაც აწყობს სენატის მრავალეროვანი კომპანიების საქმეთა ქვეკომისია.

ქვეკომისიის წევრთა წინაშე გამოსვლისას, „ინტერნეშნლ ტელეფონ ენდ ტელეგრაფ კომპანის" ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. მერიამმა აღიარა, რომ იგი თანამშრომლობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ლათინური ამერიკის სექციის ხელმძღვანელთან უ. ბროუსთან, რომელსაც რეგულარულად ამარაგებდა რეკომენდაციებით სალვადორ ალიენდეს მთავრობის წინააღმდეგ „კონკრეტული აქციების" შესახებ.

მერიამმა დაადასტურა აგრეთვე, რომ კომპანიამ თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა მემორანდუმი წინადადებებით, რომელთა მიზანი ის იყო, რომ დაეყენებინათ ჩილეს მთავრობა „ეკონომიური კრახის წინაშე".

კომპანიის გეგმა შეიცავდა ფართო ეკონომიური ომის წარმოებას ჩილეს წინააღმდეგ, ძირგამომთხრელ საქმიანობას ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, კონსულტაციებს ლათინური ამერიკის ზოგიერთ მთავრობასთან ს. ალიენდეს მთავრობაზე ზეგავლენის შესახებ და დიპლომატიური საბოტაჟის ორგანიზაციას.

მოსმენის დროს გამოირკვა, რომ „ინტერნეშნლ ტელეფონ ენდ ტელეგრაფ კომპანიში" ამუშავებდნენ სამხედრო გადატრიალების გზით სახალხო ერთიანობის მთავრობის დამხობის გეგმებს.

კომპანია ამზადებდა აგრეთვე პროპაგანდისტულ კამპანიას ს. ალიენდეს მთავრობის წინააღმდეგ ლათინური ამერიკისა და დასავლეთ ევროპის პრესაში. ამ მიზნით კომპანიას, როგორც მერიამმა განაცხადა, კონტაქტები ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოსთან, რომელმაც დაიწყო პრესაში ცილისმწამებლური სტატიების გავრცელება.

უსტაშთა პროვოკაციული გამოხდომები

კანბერა, 22 მარტი. (საკდესი). ხორვატ ემიგრანტთა ორგანიზაციის წევრი მოფაშისტო არამზადები ცდილობენ ჩაშალონ ამჟამად ავსტრალიაში მყოფი იუგოსლავიის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე ჯ. ბიედიჩი მეთაურობს.

პოლიცია მესამე დღეა პოულობს ასაფეთქებელ მასალას იმ ადგილებში, სადაც გადის იუგოსლავიის დელეგაციის მარშრუტი. განუწყვეტლივ რეკავენ ტელეფონით და ემუქრებიან როგორც დელეგაციას, ისე ავსტრალიის მთავრობას.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იმოწმებს ავსტრალიის ოფიციალურ პირთა განცხადებებს და იუწყება, რომ ჯ. ბიედიჩს გადაუწყვეტია შეკვეცოს ავსტრალიაში ყოფნის ვადა.

კაიროს აეროპორტში

კაირო, 22 მარტი. (საკდესი). კაიროს აეროპორტში დაჯდომის დროს ხამშაბათს ეგვიპტის ავიაკომპანიის კუთვნილ „ბოინგის" ტიპის თვითმფრინავის შასის გამოსაშვებმა ჰიდრავლიკურმა სისტემამ უმტყუნა.

თვითმფრინავი მშვიდობით მხოლოდ იმიტომ დაჯდა, რომ ეკიპაჟმა მოახერხა შასის ხელით გამოშვება.

გაზეთი „ალ-გუმჰურია" აღნიშნავს, — რომ ამ ბოლო კვირის განმავლობაში უკვე მეორეჯერ მოსდის ასეთი რამ „ბოინგის" ტიპის თვითმფრინავებს კაიროს აეროპორტში.

ხანძარმა გაანადგურა

ოსლო, 22 მარტი. (საკდესი). კონგსვინგერის ახლოს ხანძარმა მთლიანად გაანადგურა ნორვეგიის „ბრედესენ ოპსიტ ა/ს"-ის ერთ-ერთი უდიდესი სახერხი ქარხანა. მატერიალურ ზარალს 10 მილიონ კრონად აფასებენ.

ძლიერი გვალვა

კოლომბო, 22 მარტი. (საკდესი). ძლიერი გვალვის შედეგად მკვეთრად შემცირდა ჩაის წარმოება შრი ლანკის რესპუბლიკაში. განსაკუთრებით ძლიერად დაზარალდა გვალვისაგან უვის პროვინცია.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩაის პლანტაციათა მუშები, რომელთა შრომას ხანარდო სისტემით აანაზღაურებენ. გვალვამ აგრეთვე დიდი ზიანი მიაყენა ბრინჯის ნათესებს. ქალაქ კურუნეგალის რაიონში გახმა ბევრი ბრინჯის ყანა.

რასიზმის ნაყოფი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მკვიდრ მცხოვრებთა — აფრიკელთა 70 პროცენტი „უცხოელებად" ითვლება.

მრავალი წელია ფორსტერის მთავრობა ცხოვრებაში ატარებს სასტიკ, არაადამიანურ პოლიტიკას — „თეთრ მიწაზე შავი ლაქების" მოსპობის პოლიტიკას. ყოველ წლიწადს 100 ათასამდე აფრიკელს იმ რაიონებიდან, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებენ თეთრკანიანები, ერეკებიან სუსტადგანვითარებულ და ხშირად უკვე ჭარბადდასახლებულ რეზერვაციებში — „ბანტუსტანებში" და სხვა სპეციალურ დასახლებებში. ასეთი დასახლებანი უნაყოფო, გადახრუკულ ველში მდებარეობენ. აქ არ არის მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეული. მათი მოსახლეობა განწირულია ამისათვის, რომ ნელნელა გაწყდეს შიმშილის, ავადმყოფობისა და სიღატაკისაგან. გამოუვალი მდგომარეობის გამო მამაკაცები სამუშაოზე მიდიან უახლოეს ქალაქებსა და ფერმებში, სადაც იძულებული არიან დაქირავების ყოველგვარ პირობებზე დათანხმდნენ. „ბანტუსტანები" გახდა გიგანტურ შესარეკ ადგილებად თანამედროვე მონებისათვის, საიდანაც აგროვებენ იაფ მუშახელს.

უახლოეს წლებში მარტო ნატალის პროვინციაში დასახულია რეზერვაციებში და „შავკანიანთათვის" განკუთვნილ სპეციალურ დასახლებებში გაიგზავნოს ორ მილიონამდე კაცი. როგორც იოჰანესბურგელმა ადვოკატმა განაცხადა, ამ ადამიანთა სიღატაკე „ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე საშინელია თანამედროვე სამყაროში". ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ტურისტული მარშრუტები გვერდს უვლიან სამხრეთ აფრიკის ამ საკონცენტრაციო ბანაკებს.

სურათზე: ნატალის პროვინციაში ეკუმუკანის რეზერვაციის პატარა მოსახლენი.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

ერაყ-კუვეიტის საზღვარზე

ბაღდადი, 22 მარტი. (საკდესი). ბაღდადის რადიომ გადასცა ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გუშინ ერაყის მესაზღვრეთა ქვედანაყოფს, რომელიც წვრთნას აწყობდა ერაყის ტერიტორიაზე, თავს დაესხა კუვეიტის ქვედანაყოფი. ერაყის მხარემ ცეცხლი დაუშინა თავდაცვის მიზნით. შეტაკების შედეგად დახოცილია 2 ერაყელი ჯარისკაცი და დაჭრილია ორი.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შეტაკება მოხდა იმ მომენტში, როცა ორივე ქვეყანა ცდილობს განამტკიცოს თავიანთი ურთიერთობა. „კუვეიტის ხელისუფლებმა უნდა იცოდნენ, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ ერაყის დელეგაცია აპირებს იწვიოს მათ ქვეყანას ამ ურთიერთობის განმტკიცების, საზღვრების საკითხის გადაჭრის მიზნით".

კაირო, 22 მარტი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეგვიპტემ მოუწოდა კუვეიტსა და ერაყს მშვიდობიანი გზით მოაგვარონ სასაზღვრო დავა. პრეზიდენტი ა. სადათი, თქვა მან, მზად არის — თუ ვითარება მოითხოვს — დაუყოვნებლივ გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ამ ქვეყნებში.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ აბდელ კადერ ჰატემმა მიიღო კუვეიტის ელჩი კაიროში და გადასცა პრეზიდენტ სადათის წერილი კუვეიტის ემირისადმი.

თავისი შუამავლობა შესთავაზა აგრეთვე ლიბანმა. სირიამაც მიმართა ერაყსა და კუვეიტს მოწოდებით დაიწყონ მოლაპარაკება ინციდენტის მოწესრიგების შესახებ.

პოლიტიკური სკანდალი

ბონი, 22 მარტი. (საკდესი). ბავარიაში — მხარეში, სადაც უკვე დიდი ხანია ხელისუფლებას სათავეში უდგას რეაქციული პარტია — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, პოლიტიკური სკანდალი ატყდა.

სკანდალი იმით არის გამოწვეული, რომ, ომის დამთავრებიდან 25 წელზე მეტი ხნის შემდეგ, ბავარიის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში მოსამართლის პოსტი უკავია კარლ ჰაინტერ შტემპელს — ყოფილ ნაცისტსა და სს-ელს.

ორგანიზაციამ, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნეონაციზმის გამოვლინების წინააღმდეგ, წარმოადგინა შტემპელის ნაცისტური წარსულის დამადასტურებელი დოკუმენტები — იგი ჯერ კიდევ 1932 წელს შესულა ჰიტლერულ პარტიაში, რამდენიმე წლის შემდეგ კი სს-ის წევრი გახდა.

ინციდენტი სამხრეთ ლიბანში

ბეირუთი. 22 მარტი. (საკდესი). უცნობ შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა ოთხშაბათს ცეცხლი დაუშინა ლიბანის არმიის ერთ-ერთ საგუშაგოს, რომელიც მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში რაშაია ალ-ვადის რაიონში. ლიბანის არმიის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „მოულოდნელი თავდასხმის შედეგად დახოცილია ორი ჯარისკაცი და ერთი მძიმედ დაიჭრა". კომუნიკეში ნათქვამია, რომ თავდამსხმელნი მიიმალნენ.

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის შეიარაღებული რაზმების სარდლობამ გადაჭრით დაგმო ეს თავდასხმა.

ლიბანისა და პალესტინის პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ, რომ ეს იყო სიონისტური და რეაქციული ძალების მორიგი პროვოკაცია, რომლებიც მიზნად ისახავენ განხეთქილება ჩამოაგდონ ლიბანის არმიასა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას შორის და გამოიწვიონ ვითარების შემდგომი გამწვავება ახლო აღმოსავლეთში.

მაგრამ არაბი ხალხებისადმი მტრული ძალების ეს ცდები ჩაიფუშება. ლიბანის პრემიერ-მინისტრს ს. სალამს არაერთხელ განუცხადებია, რომ „ვერავითარი პროვოკაცია ვერ დაარღვევს ლიბანელ და პალესტინელ ხალხთა ერთიანობას".

თეორია და პრაქტიკა



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის კათედრის გამგეს, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **დიმიტრი ფილიპეს-ძე კალანდაძეს** კარგად იცნობენ რესპუბლიკის პარტიული აქტივი, მეცნიერული საზოგადოებრიობა, უმაღლესი სასწავლებლები. მისი წიგნები, საჟურნალო და საგაზეთო სტატიები, ლექციები მუდამ ეხმაურება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებს.

დ. კალანდაძეს ახლახან შეუსრულდა დაბადების სამოცი წელი, ვულოცავთ მეცნიერს ამ თარიღს, ვუსურვებთ დღეგრძელობას და შემოქმედებით წარმატებებს. მკითხველს ვთავაზობთ პროფესორ დ. კალანდაძის ახალ სტატიას.

სოციალიზმი და თავისუფლება

აუცილებლობა და თავისუფლება. აუცილებლობა და თავისუფლება ფილოსოფიური კატეგორიებია, რომლებშიც ასახულია სამყაროს მოვლენათა არსებითი კავშირებისა და ობიექტურ კანონზომიერებასთან ადამიანთა ურთიერთობის საკვანძო პუნქტები და ასპექტები. აუცილებლობა არის მოვლენათა განვითარების, სიღრმისეული პროცესების ძირითადი მიმართულება, განვითარების მსვლელობაში მოვლენათა გარდუვალობა, ხოლო თავისუფლება — აუცილებლობის შემეცნება, თავისთავზე და ბუნების ძალებზე ადამიანთა ბატონობა.

აუცილებლობას აქვს რთული სტრუქტურა. მას ახასიათებს დინამიკურობა, გამოვლინების მრავალგვარობა, შემთხვევითობათა მასობრიობა. საზოგადოებაში მოქმედი აუცილებლობა ბუნების აუცილებლობასთან მიმართებაში იგივეობრივიც არის და განსხვავებულიც. იგივეობრივია იმდენად, რამდენადაც აუცილებლობა ორივე სფეროში ობიექტურ ხასიათს ატარებს, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებელი პროცესების სახით გამოდის, ხოლო განსხვავებულია, რამდენადაც მას სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს, რამდენადაც საზოგადოებრივი აუცილებლობის სფეროში შეგნებით აღჭურვილ ადამიანთა ძალებია ჩართული.

მარქსამდელი ფილოსოფოსები აუცილებლობისა და თავისუფლების შესახებ საზოგადოების სტრუქტურისა და მისი განვითარების შესახებ თხზავდნენ ყალბ თეორიებს, რომელთაგან აღსანიშნავია ორი მთავარი კონცეფცია: ინდეტერმინიზმი და მეტაფიზიკური დეტერმინიზმი. ინდეტერმინიზმი უარყოფს აუცილებლობას და წმინდა შემთხვევითობას აღიარებს. ამ თვალსაზრისის თანახმად არც ბუნებაში და არც საზოგადოებაში არ არის ობიექტური კანონები, ამიტომ ადამიანის ნება, მისი მოქმედება შეუზღუდავი და თავისუფალია. ინდეტერმინიზმიდან გამომდინარეობს თეორიულად მცდარი დასკვნა და პრაქტიკულად მავნე შედეგები: სუბიექტივიზმი, ვოლუნტარიზმი, აბსოლუტური თავისუფლების ქადაგება, პიროვნების თვითნებური მოქმედება, ავანტიურიზმი.

მარქსისტული ფილოსოფია უარყოფს ინდეტერმინისტულ და ცალმხრივ დეტერმინისტულ შეხედულებებს, იგი გვასწავლის, რომ ადამიანთა მოღვაწეობა ობიექტური კანონებით არის დეტერმინირებული. ბუნებრივი, ობიექტური აუცილებლობა საზოგადოების გადამწყვეტია, მაგრამ იგი არ არის ფატალური ხასიათის, ადამიანებს შეუძლიათ ახსნან ისტორიული აუცილებლობის ძირითადი მიმართულებანი. „მოთოკონ" ობიექტური კანონები, ისეთი სახე მისცენ ბუნებრივ და სოციალურ მოვლენათა მსვლელობას, რომელიც დააკმაყოფილებს ადამიანთა ფუნდამენტალურ ინტერესებს.

მაგრამ თავისუფლება არ არის არც ადამიანთა თვითნებური ქცევა და არც საზოგადოებისაგან იზოლირებული ერთეულის აქტი ისე როგორც აუცილებლობა. თავისუფლებაც ზოგადი ხასიათისაა და მისი არსება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობით განისაზღვრება.

სოციალიზმის პირობებში იქმნება ახალი ტიპის თავისუფლება, რომლის სტრუქტურული ელემენტებია: 1. აუცილებლობის შეგნება, ობიექტურ ძალებზე და თავის თავზე ბატონობა; 2. აუცილებლობიდან გამომდინარე მოვალეობის შესრულება; 3. პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა; 4. დისციპლინა; 5. პრაქტიკულ-კრიტიკული მოღვაწეობა.

აუცილებლობა და მოვალეობა. აუცილებლობა ადამიანთა წინაშე აღმართულია, როგორც ბუნებრივ და სოციალურ წინააღმდეგობათა ერთობლიობა.

აუცილებლობას ადამიანი თვითნებურად ვერ მოიქცევა. ობიექტური კანონები გარკვეულ პირობებს უყენებენ მათ, ამიტომ ისინი ყოველთვის უნდა მოქმედებდნენ ამ პირობებიდან, ჯერარსობიდან გამომდინარე მოთხოვნების მიხედვით.

ეს მოთხოვნა ხორციელდება პიროვნების, კოლექტივის და მთელი საზოგადოების შრომით საქმიანობაში, რომელიც ადამიანის სოციალურ მოვალეობას წარმოადგენს. სოციალიზმის პირობებში მოვალეობის მაღალი შეგნება, სოციალური ფუნქციის გააზრება, ადამიანის სპეციფიკური ნიშანია. ამ საზოგადოებაში აუცილებლობა, მოვალეობა და ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ერთ ხაზზე მდებარეობენ, ისინი სრულ შესაბამისობაში იმყოფებიან. უპირველეს ყოვლისა, ამ პუნქტში იჩენს თავს პიროვნებისა და შრომითი კოლექტივის პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. სწორედ ამ ფუნქციის შესრულებაში ვლინდება ადამიანის სოციალური ღირებულება და საზრისი.

თავისუფლება. პასუხისმგებლობა, დისციპლინა. თავისუფლება დიდი და მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა. მას სხვადასხვა ასპექტი აქვს. შეიძლება ერთმანეთისაგან გამოვყოთ და ცალ-ცალკე განვიხილოთ პიროვნების თავისუფლება, კოლექტივის თავისუფლება, საზოგადოების თავისუფლება. ადამიანთა ცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნება ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლების საკითხს. მაგრამ ჩვენი განხილვის საგანს ამ შემთხვევაში შეადგენს სოციალიზმის პირობებში ადამიანის თავისუფლების სტრუქტურის ზოგიერთი სოციოლოგიური ასპექტი.

თავისუფლება ადამიანის სოციალური ბუნებიდან გამომდინარე მოწოდებაა, რომლის განხორციელებისათვის მან უნდა დაძლიოს ორი ჯგუფის წინააღმდეგობანი: ბუნებრივი და სოციალური.

თავისუფლება ცალმხრივია, თუ ადამიანის ბუნებრივ თავისუფლებას თან არ ახლავს მისი სოციალური თავისუფლება. ანტაგონისტურ საზოგადოებაში მშრომელ მასებს არ შეუძლიათ სოციალური ძალები თავიანთ ინტერესებს დაუქვემდებარონ. კაპიტალისტური სისტემის ძირითადი ნიშნებისათვის შეუთავსებელია თავისუფლების სტრუქტურული ელემენტების ისეთი შესაბამისობა, რომლის ბაზაზე შენდება ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლება. კაპიტალიზმმა დაამახინჯა ადამიანის ბუნება, რღვევა შეიტანა პიროვნების გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნების ერთიანობაში; მან მშრომელ ადამიანს გამოაცალა თავისი სოციალური არსება, მისგან „განასხვისა" ადამიანი, რასაც შედეგად მოჰყვა „მკვდარი" შრომის „ცოცხალ" შრომაზე ბატონობა, ადამიანის შრომით შექმნილი საგნების გაფეტიშება. აქედან გასაგებია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში თავისუფლება შეზღუდული და ცალმხრივია, იგი არსებობს მხოლოდ ცალკეული პირებისათვის, მქონებელთა კლასისათვის.

ადამიანის განთავისუფლების ერა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციიდან დაიწყო. განვითარებული სოციალიზმი, რომელიც დღევანდელ პირობებში ძლევამოსილ მსოფლიო სისტემას წარმოადგენს, ფართო ასპარეზს ქმნის ხალხების, შრომითი კოლექტივების, პიროვნების თავისუფლებისათვის. საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების შერწყმა, სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და სრულყოფა — აი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები, რომლებმაც პირობები შექმნა შრომის განთავისუფლებისათვის, რომლებმაც მშრომელ მასებს მისცა ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი თავისუფლება.

სოციალიზმი ქმნის თვისებრივად ახალ თავისუფლებას, რომელსაც ახასიათებს საყოველთაობა, ხალხურობა, კონკრეტულობა. პიროვნების თავისუფლება ემყარება მასის, კოლექტივის თავისუფლებას; სწორედ სოციალიზმი ქმნის პირობებს მშვიდობიანი და თავისუფალი შრომისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და მისი ნიჭის აყვავებისათვის. სოციალიზმი ფართო შესაძლებლობას აძლევს პიროვნებას თავისუფლად აირჩიოს მოქმედების გეგმა, თავისუფლად განავითაროს და გამოავლინოს თავისი ნიჭი და უნარი.

მაგრამ ამავე დროს თავისუფლება სოციალიზმის პირობებში გულისხმობს აუცილებლობისა და მოვალეობის ღრმა შეგნებასთან პასუხისმგებლობის, დისციპლინისა და აქტიურ-პრაქტიკული მოქმედების შეერთებას.

პასუხისმგებლობა ადამიანის სოციალური ფუნქციონირების შინაგანი მოტივია. მის სტრუქტურაში შედის პერსონალური, კოლექტიური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. ეს არის მაღალი სოციალური გრძნობა, რომელიც საფუძვლად უდევს მორალური მოქმედების პრინციპებს. პასუხისმგებლობის უქონლად არ არსებობს ადამიანის გეგმაზომიერი და ნაყოფიერი საქმიანობა, არ არსებობს თავისუფლება.

დისციპლინა, როგორც ადამიანის წესრიგის გამომხატველი ქცევა, თავისუფლების სტრუქტურაში ადამიანის მოქმედების ყველა ელემენტის მაორგანიზებელ ძალას წარმოადგენს. იგი ვლინდება შრომაში, ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაში, პარტიულ, სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ საქმიანობაში. დისციპლინა ყველაზე მნიშვნელოვანი და შინაგანი მოტივის მქონე მაშინ არის, როცა იგი გარეგანი იძულების შედეგად კი არ ხორციელდება, არამედ შეგნებულ ხასიათს ატარებს. შეგნებული დისციპლინა მწყობრ სისტემას, გარკვეულ რიტმს და თანმიმდევრობას ქმნის ადამიანთა მოღვაწეობაში და საზოგადოების განვითარების მუდმივმოქმედ ფაქტორს წარმოადგენს.

ამრიგად, მოვალეობის შეგნება, პასუხისმგებლობა და დისციპლინა ერთმანეთს განაპირობებენ, ხოლო ყველა ეს ელემენტი ერთად — თავისუფლებას. მაშასადამე, სადაც არ არის მოვალეობის შეგნება, პასუხისმგებლობა და დისციპლინა, იქ არც თავისუფლებაა, იქ გამეფებულია ქაოსი, თვითდინება, სტიქიურობა. ასეთი „კანონზომიერება" შეუთავსებელია სოციალისტურ წყობილებასთან. მაგრამ საზოგადოებრივი კანონზომიერების შეგნებული მართვა არ აუქმებს მის ობიექტურობას. პიროვნება, საზოგადოება და მისი ხელმძღვანელი ძალები თავიანთ მოღვაწეობაში ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ ობიექტურ პროცესს — აუცილებლობას.

მაშასადამე, რაც უფრო ღრმად შევდივართ თავისუფლების სფეროში, მით უფრო მეტად განსაზღვრული ხდება ჩვენი მოქმედება აუცილებლობით. ამავე დროს ეს გარემოება ადამიანისაგან, შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელისაგან მოითხოვს, რომ მან უფრო სრულად შეიგნოს თავისი მოვალეობა, პასუხისმგებლობა და დისციპლინა, იყოს შეგნებული, თვითკრიტიკული, აქტიური მუშაკი, მინდობილი საქმის შესრულებაში ნამდვილი ლიდერი.

მაგრამ აქვს თუ არა ყველას გააზრებული და შეგნებული თავისი სოციალური ფუნქცია?

ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არიან ცალკეული ადამიანები, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე, ბოროტად იყენებენ მინიჭებულ თავისუფლებას და დაკავებულ თანამდებობას, არ ამართლებენ სახელმწიფოებრივ ნდობას, ანგარიშს არ უწევენ თავისუფლების იმ სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც სოციალური მოვალეობის შეგნების, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის დაცვაში გამოიხატება. და როცა ადამიანი კარგავს აუცილებლობისა და მოვალეობის შეგნებას, მაშინ ირღვევა თავისუფლების სტრუქტურა, ქრება პასუხისმგებლობის გრძნობა, ეცემა შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინა, პიროვნება სოციალურ გადაგვარებას იწყებს, იგი უპატიოსნო ხდება. სწორედ ამ ნიადაგზე იღვიძებს მასში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, პრაქტიკულ საქმიანობაში წარმოიშობა მომხვეჭელობა, გამფლანგველობა, მექრთამეობა და სხვა ამორალური ქცევა.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელთა ცენტრში დგას ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხი, ჩვენგან მოითხოვს ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ ადამიანთა შეგნებასა და მოქმედებებში მავნე ჩვევების წინააღმდეგ და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად თანმიმდევრულად ვიმუშაოთ კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მაღალი მორალური თვისებების აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ უკანასკნელ პერიოდში მრავალ ეფექტურ ღონისძიებას ახორციელებს სოციალისტური საზოგადოებისათვის შემაფერხებელი და მტრული ტენდენციების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დაუცხრომელი მუშაობა და გადამჭრელ ღონისძიებათა გატარება სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და ადამიანთა შეგნებასა და მოქმედებაში წარსულის გადმონაშთების გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მხურვალედ მოიწონეს რესპუბლიკის მშრომელებმა. ეს ბრძოლა საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაიქცა. და აი უკვე ამ მუშაობის პირველი შედეგებიდანვე ნათლად იგრძნობა, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება უაღრესად კეთილმყოფელ და დადებით გავლენას ახდენს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

თავისუფლება და ადამიანთა პრაქტიკულ-კრიტიკული მოღვაწეობა. თავისუფლების შემოფარგვლა მხოლოდ აუცილებლობის შემეცნებით — ეს იქნებოდა სუბიექტის მჭვრეტელობა და პასიურობა. ნამდვილი თავისუფლება აღვიძებს პიროვნების შინაგან ძალებს, წარმოშობს ახალ შემოქმედებით ენერგიას, ააქტიურებს ადამიანს. დიდი ლენინი წინასწარმეტყველებდა, თუ რა სასწაულებს მოახდენდა კაპიტალის მონობიდან განთავისუფლებული შრომა, როგორ შექმნიდა სოციალიზმი იმის ფართო შესაძლებლობას, რომ გამოეყვანა მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეეძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავისი ნიჭი, გამოაამჟღავნონ ტალანტები, რომელთა დაუშრეტელი წყაროა ხალხი. ვ. ი. ლენინის ეს წინასწარხედვა სავსებით გამართლდა. სოციალიზმმა ხელი შეუწყო შრომითი ენთუზიაზმის, მასობრივი გმირობისა და ხალხის წიაღიდან ახალი ტალანტების წარმოშობას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითკრიტიკის განვითარებას.

რევოლუციური თვითკრიტიკა ადამიანში ნერგავს მებრძოლ კომუნისტურ სულისკვეთებას, მაღალ მორალურ თვისებებს, ავითარებს ახლის გრძნობას, პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებაში პასუხისმგებლობას, ხელს უწყობს პარტიული, სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

სოციალისტური ტიპის თავისუფლების სტრუქტურული ელემენტების შინაგანი მექანიზმისათვის კრიტიკა და თვითკრიტიკა ისეა საჭირო, როგორც ცოცხალი ორგანიზმისათვის ჰაერი და წყალი. ამით ხდება სოციალური ორგანიზმის გაწმენდა. მის სტრუქტურაში დახავსებულის გამოაშკარავება და გადაგდება, საზოგადოების მუდმივი განახლება და გაჯანსაღება. კრიტიკა და თვითკრიტიკა ადამიანთა თავისუფალი მოქმედების სისტემაში არის კონტროლისა და თვითკონტროლის გამოხატულება, საზოგადოების წინსვლის მძლავრი იარაღი. ამასთან არის დაკავშირებული შრომის ახალი ფორმა — სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც ეწოდება საქმიანი, რევოლუციური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საბჭოთა კავშირის ხალხები ახლა ფართოდ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე მძლავრ მამოძრავებელ ძალად იქცა.

ასეთი დიდი შრომითი ენთუზიაზმი, სოციალისტური მოვალეობის მაღალი შეგნება, პასუხისმგებლობისა და შრომითი დისციპლინის გაძლიერება, პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი მზრუნველობა და ხელმძღვანელობა იმის ურყევი საწინდარია, რომ კომუნიზმის მშენებლობის მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მიზანდასახულობანი წარმატებით შესრულდება. ამით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგმება წინ აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში გადასვლის გზაზე.

დ. კალანდაძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა ხელოვნება

ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიების გადაცემა

22 მარტს მოსკოვში გაიმართა ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიების საზეიმო გადაცემა. ეს ჯილდოები ინდოეთის მთავრობამ დააწესა საბჭოთა მწერლების, პოეტების, ჟურნალისტების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებისათვის, და ენიჭებათ ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას.

საპატიო ჯილდოები მიიღეს მწერალმა ი. აბაშიძემ — ლექსების კრებულისათვის „განგის ნაპირებზე" და ინდურ თემებზე დაწერილი სხვა ნაწარმოებებისათვის; მხატვართა ჯგუფმა მ. ასლამაზიანის, ვ. არალოვასა და მ. მირონოვას შემადგენლობით — ინდოეთისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების გამოფენისათვის; კომპოზიტორმა მ. ტარაფმ — ბალეტ „სიყვარულის ავგაროზის" მუსიკისათვის; ხელოვნებათმცოდნემ ა. კოროცკაიამ — ინდოეთის ხელოვნებასა და არქიტექტურაში სამეცნიერო შრომებისათვის, ჟურნალისტმა ვ. მაზოტინმა — საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობისადმი მიძღვნილი რეპორტაჟების სერიისათვის.

პრემიები მიენიჭათ აგრეთვე კომპოზიტორ შ. მშველიძეს — „ინდური სუიტისა" და ინდოეთის მუსიკალურ ფოლკლორზე ნარკვევების სერიისათვის, მხატვარ ნ. პონომარიოვს — გრაფიკული ნამუშევრების ციკლისათვის „ინდოეთში", ისტორიკოსსა და ჟურნალისტს ი. სერებრიაკოვს — ინდოეთის შესახებ ნარკვევებისა და ინდური ლიტერატურის ისტორიის დარგში მეცნიერული კვლევისათვის.

ჯილდოები გადასცა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ.

ჯ. ნერუს პრემიის ლაურეატებს მიესალმა ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ტ. ნ. შელვანკარი. (საქტასი).

არდადეგებია!

დღეს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაიხურება საკლასო ჟურნალი, ნორჩთა ჟრიამული მოსწყდება სკოლის კედლებს. პირველ აპრილამდე მოსწავლეთა მოლოდინში გაირინდებიან საკლასო ოთახები და დერეფნები...

ბევრი გზა, შეხვედრა და სიხარული ელოდებათ არდადეგების პერიოდში მოსწავლეებს. მარტო თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლიდან რამდენიმე დელეგაცია ემგზავრება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებს. სასახლის გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური" ლენინგრადს მიემგზავრება, ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის აქტივისტები — ლვოვს, ესთეტიკური აღზრდის კაბინეტის წევრები — მინსკს...

დალი მორგოშია.

რომანტიკული სპექტაკლი-ბალადა

თაქთაქიშვილის „მინდია" მინსკის საოპერო თეატრის სცენაზე

„ფარდა დაეშვა. კიდევ და კიდევ ბრუნდებიან მსახიობები ავანსცენაზე მაყურებელთა უხვი აპლოდისმენტების გამო. შემდეგ კი გამოჩნდნენ ახლადდამთავრებული საოპერო სპექტაკლის შემქმნელნი, სპექტაკლისა, რომელიც დაიბადა ბელორუსიისა და საქართველოს შემოქმედებითი თანამეგობრობით... და ტაშმა ახალი ძალით იგრიალა.

ასე დამთავრდა ქართველ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას" პირველი წარმოდგენა ბელორუსიის საოპერო თეატრის სცენაზე. თეატრის აფიშა გამდიდრდა საბჭოთა ავტორის ახალი მაღალმხატვრული, ნიჭიერი, ნოვატორული ნაწარმოებით". — ეს საგაზეთო წერილის მხოლოდ ნაწილია ბელორუსული პრესიდან.

ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ კარგად იცის, რომ ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია" თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგმის შემდეგ საკონცერტო შესრულებით მოსკოველებმა მოისმინეს. ამას წინათ „მინდია" დადგა ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა და სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. და აი სულ ახლახან „მინდია" აჟღერდა ბელორუსიის დედაქალაქში. სპექტაკლის პრემიერა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

პრემიერას წინ უძღოდა დიდი და საკმაოდ რთული მუშაობა, რადგან კოლორიტული, უცხო ჟღერადობის, ეროვნულ-ხალხურ საწყისებზე აგებული ნაწარმოების განხორციელება საკმაო სიძნელეს უქმნიდა საშემსრულებლო კოლექტივს.

ბელორუს მაყურებელთა შორის იყვნენ მოსკოველი, თბილისელი სტუმრები და ყველანი მოწმენი გახდნენ ამაღლებული, მკაფიოდ გადაწყვეტილი სპექტაკლისა.

ჩვენ აქ არ დავითვლით ტაშს, რომელიც გულწრფელად მიუძღვნა სპექტაკლის ავტორებსა და შემსრულებლებს ბელორუსიის დედაქალაქის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ, არ აღვნიშნავთ დადგმულ სპექტაკლთა რაოდენობას, თუმცა ეს უკანასკნელი თავისთავად მეტყველებს მის წარმატებაზე. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს გამოვყოფთ იმ მრავალრიცხოვანი რეცენზიებიდან, რომლებიც ასე უხვად მიუძღვნეს ქართულ ოპერას ბელორუსიის გაზეთებმა.

პრემიერის მეორე დღეს გაზეთმა „პრავდამ" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა მოკლე ცნობა სათაურით „სამშობლოს სიყვარულზე". მინსკში „მინდიას" პრემიერის შესახებ: „მინსკელებმა გამოიჩინეს დიდი ინტერესი სპექტაკლისადმი, რომელშიც ხორცშესხმულია პატრიოტიზმისა და სამშობლოსადმი სიყვარულის უკვდავი იდეები".

გაზეთი „სოვეტსკაია ბელორუსია" აქვეყნებს ვრცელ რეცენზიას სათაურით „მთების ლეგენდა", რომელშიც ავტორი ა. ლადიგინა წერს — მშვენიერი არჩევანი გაუკეთებია თეატრს. საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „მინდია" ღირსია შემოქმედებითი შრომისა. იდეურ-ესთეტიკური კონცეფციების დიდმნიშვნელოვანებამ, მუსიკის მაღალმა, ამაღლებულმა სილამაზემ დამსახურებულად მოუტანა. ოპერას ფართო აღიარება საქართველოშიც და მთელ ჩვენს ქვეყანაშიც... დღეს როცა ჩვენ უკვე დავესწარით „მინდიას" ბელორუსულ პრემიერას, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სპექტაკლმა გაიმარჯვა. მისი პირველი და უმთავრესი ღირსება მაღალი მუსიკალური კულტურაა.

მუსიკა, რომელიც გადმოსცემს ძველ ქართულ ლეგენდას, წერს გაზეთი „საღამოს მინსკი", აღსავსეა რომანტიკით. მელოდია გვიხატავს მინდიას, ჩალხიასა და მზიას მკაფიო სახეებს. მთელი რომანტიზმით ჟღერს კონფლიქტი პატრიოტულ-ჰუმანურ იდეალსა და სისხლის აღების ამაზრზენ ზნე-ჩვეულებებს შორის.

კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი ამ ოპერაში ოსტატურად იყენებს ხალხურ მელოსს, მკაფიო საორკესტრო საშუალებებით გადმოსცემს მთელ მის სილამაზეს.

ოპერა „მინდიას" ზემოთ მოყვანილი შეფასებანი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაწილია იმ მრავალრიცხოვანი წერილებისა, რომლებიც მიეძღვნა ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებს. ამას გვინდა დავუმატოთ, რომ რეცენზენტები ერთხმად აღნიშნავდნენ დამდგმელი ჯგუფის წარმატებას. ესენი არიან უწინარეს ყოვლისა მუსიკალური ხელმძღვანელი უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ი. ვოშჩაკი, რეჟისორი — რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ხ. შტეინი, მხატვარი მ. მალაზონია, ქორმეისტერი ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტი ა. კოგადეევი, ბალეტმეისტერი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ლომთათიძე.

ოპერა „მინდიას" პრემიერას წინ უძღოდა დიდი რეკლამა, რომელიც მეტყველებს მოძმე ბელორუსი ხალხის საქართველოს ხელოვნებისადმი დიდს სიყვარულზე. შეიქმნა ფერადი, ლამაზი აფიშა, დასურათებული ბუკლეტი კომპოზიტორის მოკლე ბიოგრაფიითა და ოპერის შექმნის ისტორიით. თვით მინსკის ოპერის სოლისტებმა კი პრემიერის წინ ერთგვარი საჩუქარი შესთავაზეს კომპოზიტორსა და თავიანთ მსმენელს და მოამზადეს კამერული კონცერტი, რომლის პროგრამაში იყო ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები.

ყველაფერი ზემოთაღნიშნული იმ აღიარების სურათს ხატავს, რომელიც წილად ხვდა ოპერა „მინდიასა" და მის ავტორს.

ეს მოკლე საგაზეთო წერილი-მიმოხილვა, რომელიც ძირითადად ბელორუსულ პრესას ეყრდნობა, გვინდა კვლავ საგაზეთო რეცენზიის ერთი ნაწილით დავასრულოთ: „სპექტაკლი დამთავრდა, შეწყდა საბოლოო მელოდია, რომელმაც ადამიანებისა და ბუნების მეგობრობას, ამქვეყნად მშვიდობას უმღერა. ბელორუსიის სცენაზე დაიბადა რომანტიკული სპექტაკლი-ბალადა, რომელიც ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეებს ამტკიცებს, და გვჯერა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის ხანგრძლივი სცენური სიცოცხლის, რადგან მასში აჟღერებული იდეები ერთნაირად იტაცებს მსმენელსაც და მაყურებელსაც.

ზ. რცხილაძე.

წიგნის გმირია მეშა

ქართველი მწერლის რომანი და საკავშირო სალიტერატურო კრიტიკა

გ. ფანჯიკიძის პირველი რომანის „მშვიდი ცის" რუსული თარგმანი საკავშირო მკითხველმა ჯერ ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" ფურცლებზე (1971 წ. № 1) გაიცნო, ხოლო შემდეგ იგი გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ" ორჯერ გამოსცა.

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვში" (№ 10, 1969 წ.) კრიტიკოსმა ლ. ტერ-აკოპიანმა თავის სტატიაში „წვდომა ხასიათისა" გ. ფანჯიკიძის ეს რომანი განიხილა თ. გონჩარის, ვ. ჩივილიხინის, ვ. ლიპატოვის, ი. ტრიფონოვის, ვ. პოპოვის ფართოდ გახმაურებული ბოლოდროინდელი ნაწარმოებების გვერდით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გ. ფანჯიკიძის რომანი „მშვიდი ცა" ახალგაზრდა მწერალთა ამასწინანდელი საკავშირო თათბირის ერთი უმთავრესი აღმოჩენაა.

ამის შემდეგ გაზეთ „ტრუდში" (1971 წლის 10 აგვ.) რომან „მშვიდ ცას" საგანგებო რეცენზიით გამოეხმაურა გ. კოვალევიჩი. ავტორის აზრით, რომანის „მთავარი გმირის ხასიათი საკმაოდ რთულია. ყოველ შემთხვევაში ამ ხასიათს არაცხოვრებისეულობას ვერ ვუსაყვედურებთ. ამ გარემოებამ განაპირობა წარმატება ნაწარმოებისა, რომელიც დიდი ქარხნის ცხოვრების ფონზე ეხება სულიერ და ეთიკურ პრობლემებს. ამ თვალსაზრისით უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში გ. ფანჯიკიძის რომანი შესამჩნევი მოვლენაა".

„ლიტერატურნაია გაზეტას" თბილისის ნომერში დაიბეჭდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის ანგარიში. თავის მოხსენებაში გამგეობის მდივანი ვ. ოზეროვი უკანასკნელ ხანებში შექმნილ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს შორის საქართველოდან გ. ფანჯიკიძის „მშვიდ ცას" ასახელებს.

კრიტიკოსმა ნ. ვორონოვმა თავის სტატიაში „მუშათა თემის ახალი მონაპოვრები" („ლიტერატურნაია გაზეტა", 22. II 1972) ხაზი გაუსვა რომანის მთავარი გმირის რთულ, წინააღმდეგობით აღბეჭდილ თანამედროვე ხასიათს.

ამავე გაზეთში (21. VI. 1972) საფუძვლიანად მიმოიხილავს „მშვიდ ცას" ვ. კამიანოვი სტატიაში „თავნებობა თვინიერების ფარგლებში?". სარედაქციო შენიშვნაში ვკითხულობთ: „სოციალიზმი ადამიანისაგან — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაწილისა და შემოქმედისაგან მხოლოდ პროფესიონალიზმს კი არა, მაღალ მოქალაქეობრიობას, თავიანთი საქმიანობისადმი შემოქმედებითად სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას, საზოგადოებრივი პიროვნების განვითარებულ თვისებებს მოითხოვს, სწორედ ამ კუთხით გვიჩვენებს თანამედროვე გმირს დღევანდელი პროზა. კანონზომიერია, რომ ბევრ ნაწარმოებში ცენტრალური ადგილი სამართლიანად უჭირავთ ცხოვრების ჭეშმარიტ გმირებს, მაგრამ მწერლები არც ამ ცხოვრების მოჩვენებით გმირებს უვლიან გვერდს, იმათ, ვინც საზოგადოების დაინტერესებას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით სპეკულაციურად იყენებს... ამ თემას ეხება ვ. კამიანოვის მიერ გაანალიზებული ნაწარმოებები... „კრიტიკოსი ლევან ხიდაშელის ხასიათს მოაქცევს ე. წ. „ძლიერი პიროვნების" კომპლექსში და აღნიშნავს მის ცხოვრებისეულ დამაჯერებლობას.

ვ. გეიდეკო სტატიაში „ტყუპისცალები? — ანტიპოდები?" („კომსომოლსკაია პრავდა", 13 აგვ. 1972 წ.) წერს: „გურამ ფანჯიკიძის დამოკიდებულება თავისი რომანის გმირისადმი ცალმხრივი არ არის.. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლევან ხიდაშელი მისთვის სიმპათიური როდია, მაგრამ ესეც სწორია: ლევანს ბევრი თვისება შეუძლებელია ავტორის აღტაცებას არ იწვევდეს. იგი ენერგიული, საზრიანი, გამრჯეა.... ამასთან აუცილებლად უნდა ითქვას: ლევანის ეს ღირსებები მაღალ ზოგადადამიანურ მიზნებს არ ემსახურებიან, ლევანისთვის „მე", „ჩემი" და „ჩემთვისაა" მთავარი! გ. ფანჯიკიძე ობიექტურია... იგი გმირის მოქმედების ლოგიკას მკაცრად მისდევს...

იგივე ვ. გეიდეკო თავის წიგნში „მუშა თანამედროვე ლიტერატურაში" (გამომცემლობა „ზნანიე", 1972 წ.) ბოლო ხანებში ამ თემაზე შექმნილ მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის საფუძვლიანად განიხილავს „მშვიდ ცას".

„მშვიდი ცა" განიხილეს და ავტორს შეხვედრები მოუწყვეს მოსკოვის უძველეს ქარხანა „სერპ ი მოლოტში", ლიხაჩოვის სახელობის ქარხანაში, დედაქალაქის პოდოლსკისა და ლომონოსოვის სახელობის ბიბლიოთეკებში. მწერალი მიიწვიეს აგრეთვე მოსკოვის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

აი რას წერდა „ლიტერატურნაია გაზეტა" (24 V 1972 წ.) ამ შეხვედრების თაობაზე:

„მკითხველები — მუშები, სტუდენტები, ინჟინრები — ისე მსჯელობდნენ, რომ მათი აზრის სიმწიფე და სიღრმე პროფესიონალ კრიტიკოსთა შეფასებებს არ ჩამოუვარდებოდა.

მაგალითად, ერთმა ჭაბუკმა ასე თქვა: — რა თქმა უნდა, რომანში არის საქართველოს დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ მთავარი, გმირი და მისი ამხანაგები, ქარხანა, დირექტორი, საამქროს უფროსი, მეფოლადეები, მათი ოჯახები, მათი საუბარი და სამუშაო ისეთივეა, როგორც ჩვენთან მოსკოვში, ისეთივე როგორც ურალში, სადაც მე ხშირად მიხდება ყოფნა. ყველაფერი ის, რაზედაც მოგვითხრობს მწერალი, მხოლოდ საქართველოში კი არა, ყველგან გვხვდება...

მოსკოვის მკითხველთა კონფერენციების თავად ფაქტიც კი მეტყველებს ბევრ რამეზე. რომანის გმირები — ქართველი მეტალურგები — ფოლადის დნობის ოსტატობას რუსეთისა და უკრაინის ქარხნებში ეუფლებოდნენ. მათი ცხოვრება და ინტერესები ყველა საბჭოთა ადამიანის ინტერესებს ემთხვევა, ასე რომ თვით ცხოვრება განსაზღვრავს ჩვენი თანამედროვე, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ლიტერატურის ხასიათს".

ბ. წიგნაძე.

მედიცინა და ადამიანი

ძილი შეკვეთით

საბჭოთა კავშირში შექმნილია აპარატი, რომელიც უძილობისაგან იხსნის ადამიანს, სტაბილურს და სრულფასოვანს გაუხდის ბუნებრივ ძილს.

ძილი რომ დაერღვევა, ადამიანი ჩვეულებრივ მიმართავს საძილე საშუალებებს, რომლებიც თუმცა ხელს უწყობენ დაძინებას, მაგრამ მაინც ერთგვარ მავნე ზეგავლენას ახდენენ ორგანიზმზე. სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულია ელექტროძილის მეთოდი, მაგრამ იმასაც აქვს თავისი უხერხულობანი.

ახალი მეთოდი — რიტმძილი და მთელი საჭირო აპარატურა შემუშავებულია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

მეთოდის ძირითადი იდეაა დაძინების დაჩქარება. პაციენტმა რომ დაიძინოს, საკმარისია ზემოქმედების ერთი-ორი წყარო, მაგალითად ბგერა და სინათლე. წყვეტილი ბგერითი სიგნალი, რომელიც წვიმის წვეთების დაცემას აგონებს ადამიანს, ან მოციმციმე შუქი იწვევს კუნთების დადუნებას, ადუნებს კუნთებს, რის შედეგადაც ადამიანი იძინებს. ბგერითსა და შუქსიგნალებს რიტმძილის აპარატი გამოსცემს. თვითონ აპარატი (ჯერ კიდევ ექსპერიმენტული) ტელეფონისაზე დიდი არ არის. ბგერას გამოსცემს მინიატიურული ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატი, შუქს — მუქფილტრის ორი პატარა თვალი.

ბგერისა და შუქის სიგნალების პარამეტრები მთელი პროცედურის მანძილზე იცვლება პაციენტის მდგომარეობის შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება ისეთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, როგორიც არის ტვინისა და კუნთების ბიოდენები, თვალების მოძრაობა, სუნთქვისა და პულსის სიხშირე. ძილის გაღრმავებისას ტვინის ბიოდენების ამპლიტუდა მატულობს, მათი სიხშირე თანდათანობით კლებულობს. კუნთები დუნდება. მათი ბიოელექტრული აქტივობა კლებულობს, სუნთქვა და პულსი უფრო იშვიათი ხდება, თვალების მოძრაობა ნელდება.

ფიზიოლოგიური მაჩვენებლების ყველა ცვლილების რეგისტრაცია ხდება და უკუკავშირის პრინციპის მიხედვით წარმოებს ბგერის ძალისა და შუქის მკაფიობის, აგრეთვე სიგნალების სიხშირის რეგულირება.

ამავე დროს პაციენტის მდგომარეობის შესაბამისად თანდათანობით იცვლება ელფერებიც: ცისფერიდან და იისფერიდან მუქ-მწვანემდე.

რიტმძილი ადამიანზე ისეთ ზეგავლენას ახდენს, რომელიც მოცემულ მომენტში ყველაზე უკეთ უწყობს ხელს საამო ფიზიოლოგიურ ჩაძინებას.

ხელსაწყოს მუშაობა შეუძლია უკუქცევითი კავშირის გარეშეც. მაშინ მისი მოქმედების პროგრამირება წინასწარ ხდება ძილის სიღრმის შესაბამისად, რომელიც ბუნებრივი დაძინებისას ხდება. ამ შემთხვევაში რიტმძილის მოქმედება მთელი პროცედურის განმავლობაში ყველაზე „საამო" და ფიზიოლოგიური იქნება მხოლოდ ამოსავალ სიდიდეთა, კერძოდ ბგერითი სიგნალებისა და შუქსიგნალების შეწყვეტის სიხშირის სწორად დაყენებისას. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ თვითეული ადამიანისათვის ეს ამოსავალი სიხშირე პრაქტიკულად არ იცვლება. მისი გაფანტვა სხვადასხვა ადამიანებისათვის დიდი არ არის და საშუალოდ ხუთ პროცენტს არ აღემატება. დიდმნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს ოპტიმალური სიხშირე. ამ სიხშირისაგან მცირე (2-3 პროცენტით) გადახრისასვე დაძინების დრო გადიდდება. ამოსავალი სიხშირე თუ სწორად არ იქნა შერჩეული, დაძინება შეიძლება საერთოდაც არ მოხდეს.

ადამიანზე ხელსაწყოს ზემოქმედების რიტმიკა შეხამებულია მისი ორგანიზმის ცხოველმოქმედების რიტმებთან. ხანგრძლივი ზემოქმედება კი თანაც შესაძლებლობას გვაძლევს გარდავქმნათ ორგანიზმის რიტმები, მოვახდინოთ მათი ნორმალიზაცია. სწორედ ამიტომ დღის მრავალჯისი პროცედურები ხელს უწყობენ ღამის ძილის გაუმჯობესებას. კაცს, რომელსაც უძილობა აწუხებს, შეუძლია ღამის ძილი გაიუმჯობესოს იმით, რომ ხელსაწყო გამოიყენოს არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც.

როგორც კიშინიოვის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაგვანახვა, რიტმძილი გამოსადეგია ისეთ დაავადებათა მკურნალობისასაც, როგორიც არის ჰიპერტონია, სხვადასხვაგვარი ნევროზები, წყლულოვანი ავადმყოფობა, ენაბლუობა. ხელსაწყო ჯანსაღი ადამიანებისთვისაც სასარგებლოა, იგი დამამშვიდებლად მოქმედებს, მოქანცვის მომხსნელია.

ხელსაწყოს გამოყენება სპორტსმენებმაც დაიწყეს. ფიზკულტურის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სასპორტო ექიმი ფსიქონევროლოგი ანატოლი ალექსეევი რიტმძილს იყენებს შეჯიბრებების შუა პერიოდში, როცა სპორტსმენი მაქსიმალურად უნდა მოდუნდეს და დაისვენოს.

რიტმძილის ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ იგი აბსოლუტურად უვნებელია. მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანაში დაიწყო მინიატიურული აპარატების საცდელი პარტიის წარმოება. მათ ამზადებენ ეგრეთწოდებული ინტეგრალური სქემების საფუძველზე, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ აპარატის სიდიდე 10-ჯერ შემცირდეს იმ აპარატთან შედარებით, რომელიც დამზადებულია ჩვეულებრივი სქემების ნახევარგამტარებზე.

ლ. კუპრიანოვიჩი,
ინჟინერი.
(ახალი ამბების სააგენტო).

არმიული ცხოვრება

დღე პირველი



წასასვლელად რომ ემზადებოდნენ, ოხუნჯობდნენ და მხოლოდ ტანთ რომ ჩაიცვეს და ნიკაპქვეშ კაპიშონები შეიკრეს, უცებ სერიოზული გახდნენ, თითქოს ახლაღა მიხვდნენ, თუ რაოდენ სერიოზული იყო მათი დღევანდელი მეცადინეობა. და მაშინაც კი, როცა რომელიღაც მათგანმა თქვა, ამ არაჩვეულებრივ ფორმაში კოსმოსიდან მოსულთ ვგევართო, არავის არ გაეცინებია.

ისინი კლდის წინ იდგნენ და ჯერ კიდევ არავინ არ იცოდა, რომ არა რიგითი გორდა, არამედ სწორედ ეფრეიტორი ხაბიროვი იქნებოდა ქვეგანაყოფის დღევანდელი მეცადინეობის გმირი. მან და რიგითმა არამ ოგანესიანმა პირველებმა „მოსინჯეს" ის სამოცდახუთმეტრიანი დაშვება თოკებით კლდიდან, ზედ მწვერვალთან რომ დახრილა. მათ სხვებზე ნაკლებად როდი ეშინოდათ, მაგრამ პირველებმა განაცხადეს, რომ „გაივლიდნენ" ამ დაშვებას. და თუ რიგითს ოგანესიანს ასეთი კლდეები წინათაც მოუსინჯავს, ეფრეიტორ ხაბიროვისათვის ეს კლდე პირველი მაღლობი იყო მის სიცოცხლეში.

...წინ კი იერიში ჰქონდათ, სწრაფი და „მოწინააღმდეგისათვის" მოულოდნელი. როცა ისინი, ჯერ კიდევ რომ არ დაუსვენიათ აღმართ-დაღმართების შემდეგ, უცებ იგრძნობენ, რომ დაღლილობისაგან მუხლები აღარ უკანკალებთ, და ერთიანი კვეთებით, ზურგიდან შემოვლით დაძლევენ დიდმნიშვნელოვანი გადასასვლელის დაცვას „მოწინააღმდეგის" მიერ.

ეს მათი პირველი დღე იყო, ნამდვილი მაღალი მთების პირობებში ნამდვილ კლდეებზე რომ გაატარეს, სადაც თვითეულს უნდა ჩაებარებინა გამოცდა ჯარისკაცულ მოხერხებულობაზე, გამბედაობაზე, ამხანაგობასა და სიმტკიცეზე. და მათ ღირსეულად ჩააბარეს გამოცდა.

ამბობენ, მთები ვაჟკაცობის გამომცდელი არიანო. მათ არა მარტო ჩააბარეს გამოცდა, არამედ კიდევაც დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ამ პირობებში აწარმოონ საბრძოლო მოქმედება. ეს მათი პირველი დღე იყო. მას მოჰყვებოდა შემდგომი დღეები...

კაპიტანი ვ. პეტერსი.

სურათზე: ზემოთ — იერიში, შუაში — კლდიდან დაშვება; ქვემოთ — აი ისინიც, მეცადინეობის გმირები.

ვ. რუხაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კალათბურთის ფარებთან

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის („ა" კლასის უმაღლესი ლიგა) მორიგი შეხვედრა. თბილისის „დინამო" მასპინძლობდა მინსკის რტო-ს გუნდს და კვლავ დამარცხდა (მეთერთმეტედ!) — 63:65 (29:38).

ლენინგრადის „სპარტაკის" ქალთა გუნდმა ევროპის თასების მფლობელთა თასის პირველ ფინალურ მატჩში პრაღაში დამარცხა ადგილობრივი „სლავია" 64:55 (35:31). საპასუხო შეხვედრა, რომელიც გამოავლენს საპატიო პრიზის მფლობელს, გაიმართება ლენინგრადში 29 მარტს.

დარჩა სამი ტური

ოლოტის საერთაშორისო ტურნირზე ჭადრაკში გათამაშდა 8 ტური (თერთმეტიდან). ნონა გაფრინდაშვილმა ყაიმი გააკეთა ესპანელ ანტონიო მედინასთან და 8-საათიანი ბრძოლის შემდეგ 92-ე სვლაზე დათმო პარტია უნგრელ იშტვან ჩომთან. საბჭოთა გროსმაისტერმა ა. გიპსლისმა 19 სვლაში დამარცხა შეჯიბრების ლიდერი — არგენტინელი ოსტატი მიგელ კინტეროსი. შეჯიბრებას ახლა სათავეში უდგას იუგოსლაველი ბოიან კურაიცა — 6 ქულა. გიპსლისს 5,5 ქულა აქვს, გაფრინდაშვილს — 3,5.

სპორტი

ბრძოლას გამოეთიშნენ...

ფეხბურთი

„რეალი"-„დინამო" — 3:0;
„მილანი"-„სპარტაკი" — 1:1

როგორც ვიუწყებოდით, 21 მარტს გვიან ღამით მადრიდსა და მილანში დამთავრდა ევროპული რანგის მატჩები საბჭოთა გუნდების მონაწილეობით.

ესპანეთის დედაქალაქში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში კიევის „დინამო" ხვდებოდა მასპინძლებს — მადრიდის „რეალის" კლუბს.

კიეველებმა თავიდანვე დათმეს ინიციატივა. თამაშის მეორე წუთზე სანტილანამ ამანსიოს გადაცემიდან გახსნა ანგარიში, რასაც 35-ე წუთზე აგილარის მეორე ბურთიც მოჰყვა. მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ამანსიომ მესამე ბურთი გაიტანა.

დინამოელთა დაცვამ შეხვედრა თავის შესაძლებლობაზე დაბლა ჩაატარა. გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, დამინი, რეშკო, დოლგენკო (სემიონოვი), ფომენკო, მუნტიანი, ტროშკინი, პუზაჩი, კოლოტოვი, ვერემეევი (ბურიაკი), ბლოხინი.

პირველი შეხვედრა ოდესაში, როგორც იცით, დამთავრდა ფრედ (0:0). ასე რომ, კიევის „დინამო" გამოეთიშა ჩემპიონთა თასის გათამაშებას.

არ მიიღებს მონაწილეობას ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკიც", რომელიც ამავე დღეს მეოთხედფინალის საპასუხო მატჩს ატარებდა მილანში.

პირველ ტაიმში მეტოქეებმა გაიტანეს თითო ბურთი — ესპანელმა ბიგონმა (მე-3 წუთზე) და სპარტაკელმა პისკარევმა (მე-7 წუთზე), რასაც შესვენების შემდეგ გოლი აღარ მოჰყოლია — 1:1.

სპარტაკელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: დარჩინი, ლოგოფეტი, ოლშანსკი, ლოვჩევი, ბუკიევსკი, ბულგაკოვი, ზენკოვი, მინაევი, პისკარევი, პაპაევი და რედინი.

ბ. ფედოსოვი — ფედერაციის თავმჯდომარე

21 მარტს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი, რომელმაც განიხილა ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის მდგომარეობის საკითხი.

პლენუმზე განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხებიც. დაკმაყოფილდა ვ. გრანატკინის თხოვნა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, გაზეთ „იზვესტიის" სპორტული მიმომხილველი ბორის ფედოსოვი.

ჩემპიონია კობაიძე

თბილისის 1973 წლის ჩემპიონის წოდება ჭადრაკში მოიპოვა ოსტატმა ციური კობაიძემ (მწვრთნელი ოსტატი ა. ბუსლაევი), რომელმაც მთელი შეჯიბრება ჩინებულად წარმართა. მართალია, უკანასკნელ, მეცხრე ტურში კობაიძემ ვერ მოასწრო პარტიის დამთავრება წერეთელთან, მაგრამ ამასობაში ნორჩი მოჭადრაკე ჩიბურდანიძე დამარცხდა გაჩეჩილაძესთან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კობაიძემ 7 ქულით გაინაღდა პირველი ადგილი.

კობაიძეს ადრეც ჰქონდა თვალსაჩინო წარმატებები. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო გოგონათა შორის, თბილისის საერთაშორისო ტურნირში 1968 წელს ოსტატის წოდება დაისაკუთრა. ახლა კობაიძემ თბილისის ჩემპიონის წოდებასთან ერთად მოიპოვა უფლება ითამაშოს თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც აპრილის მეორე ნახევარში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის, საერთაშორისო ოსტატ ნანა ალექსანდრიასა და უცხოელი ოსტატების მონაწილეობით.

6,5 ქულა აქვთ ნორჩ მოჭადრაკეებს მაია ჩიბურდანიძესა და ქეთევან გაჩეჩილაძეს, რომლებმაც კარგად წარმართეს მთელი ასპარეზობა. საპრიზო ადგილების საბოლოო ბედი გაირკვევა გადადებული პარტიების დამთავრებისას.

რამდენიმე სტრიქონით

● **ჭიდაობა.** ამას წინათ ქალაქ დარმშტადტში (გფრ) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში, რომელშიც გამოდიოდნენ ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები — ინგლისის, ესპანეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის მოჭიდავეები. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყანა ამ ტურნირზე საქართველოს ნაკრებით (უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი) იყო წარმოდგენილი. წარმატებით გამოვიდნენ ა. მარტყოფლიშვილი, ბ. გოგოლაური და ჯ. ნიჟარაძე, რომლებმაც პირველი ადგილები მოიპოვეს. ა. წიკლაური და ა. მეზაევი მეორე ადგილებზე გამოვიდნენ, ხოლო ჯ. ხორბალაძე და რ. ოდიშელიძე — მესამეზე.

ბულგარეთში (ვარნა) გამართულ დან კოლოვის მე-12 მემორიალში თავისუფალ ჭიდაობაში თავი ისახელეს ქართველმა სპორტსმენებმა რ. დობორჯგინიძემ და ვ. მარშანიამ, რომლებმაც პირველობა მოიპოვეს თავიანთ წონითს კატეგორიებში.

● **ტანვარჯიში.** აშშ-ში (მაიამი-ბიჩი, ბოსტონი და სხვ.) გაიმართა საბჭოთა ტანმოვარჯიშე გოგონების საჩვენებელი გამოსვლები. ადგილობრივი სპორტის მოყვარულები და პრესა მოხიბლული დარჩნენ ჩვენი სპორტსმენების ოსტატობით, რომელთა შორის იყვნენ ლიუდმილა ტურიშჩევა, ოლგა კორბუტი, თამარ ლაზაკოვიჩი, ლიუბოვ ბოგდანოვა, ანტონინა კოშელი და ბათუმელი რუსიკო სიხარულიძე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

24 მარტი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — „ტანვარჯიში ყველასათვის" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.15 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ბელორუსია" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 13.15 — კინონარკვევი, 13.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 15.00 — „მეცნიერებისა და კულტურის აქტუალური პრობლემები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — „30 წუთი კინოსმოყვარულთათვის", 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — „ჯანმრთელობა" სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — მოსწავლეთათვის „კომკავშირული საგზურით", 18.40 — ეკონომიური სამსახური თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, 19.00 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" მეცამეტე სერია (ქართულ ენაზე), 20.00 — სტუდიაში — გაზეთ „პრავდის" პოლიტიკური მიმომხილველი ი. ჟუკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ლიტერატურული დიალოგები", 21.30 — „სოხუმელ ჯიმთმშენებლებთან", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მუსიკალური სუვენირები, 23.15 — კინოპროგრამა, 23.50 — საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. მეორე და მესამე პერიოდი (გადმოცემა ჩეხოსლოვაკიიდან).

მეორე პროგრამით

19.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია მხატვრული ფილმი „ჩაიკოვსკი" (პირველი სერია).

რადიო

24 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვი), 08.10 — განცხადებები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვი), 11.05 — მსუბუქი მუსიკა, 11.20 — „მოკლე ტალღაზე" (მოსკოვი), 11.45 — ს. რახმანინოვი. მესამე საფორტეპიანო კონცერტი და რაფსოდია პაგანინის თემებზე. ასრულებს ავტორი და ფილადელფიის სიმფონიური ორკესტრი, 12.45 — საუბარი „რელიგიის წინააღმდეგ — ადამიანისათვის", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 14.00 — ლ. ქიაჩელი. „აკი აბაა". რადიოდადგმა, 15.00 — ვ. მოცარტი. ოპერა „დონ ჟუანი" (მონტაჟი), 16.15 — ქართული ხალხური მსუბუქი მუსიკა, 16.30 — „მხიარულ ტალღაზე", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. კონცერტი-საუბარი, „დ. არაყიშვილი", 17.55 — საქალაქო სატრანსლაციო ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — მუსიკა, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — შ. მშველიძე, ო. თაქთაქიშვილი. ს. ცინცაძე. კამერული ნაწარმოებები, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები", 20.20 — „ბუნება ჩვენს ირგვლივ" (მოსკოვი), 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ახალგაზრდობისათვის. ვ. მაიაკოვსკი. პოემა „ლენინი". მუსიკალურ-ლიტერატურული რადიოკომპოზიცია, 22.00 — „საღამო მშვიდობისა", 23.30 — რ. ლაღიძე. მუსიკა კინოფილმ „ხევისბერ გოჩადან".

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უუ 02598 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380008 თბილისი 8, ლენინის ქ. 14.